საქართველოს
ეროვნული
ბიბლიოთეკა

საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1990 წლის დეკემბრიდან. № 188 (716) პარასკევი, 27 აგვისტო, 1993 წელი. ფასი 25 კუპონი

პირველი სვეტი

ცნობები აფხაზეთიდან

სოხუმში გაიმართა აფხაზეთში კონფლიქტის მონაწილეების გაერთიანებული კომისიის მორიგი მერვე სხდომა, რომელმაც განიხილა საკითხები მხარეების დაშორიშორებისა და ჯარების გაყვანის გეგმისა და გრაფიკის შესრულებით მიმდინარეობაზე, აგრეთვე შინაგანი ჯარების პოლკისა და განაყოფების შექმნაზე გაერთიანებული კომისიის დავალების შესრულების მიმდინარეობის შესახებ.

აღინიშნა, რომ მხარეებმა მნიშვნელოვანი მუშაობა გასწიეს აღმოსავლეთის ფრონტზე ჯარების დაშორიშორების მხრივ. გადაწყდა, რომ 26 აგვისტოს მოეწყოს ერთობლივი ინსპექტირება გაერთიანებული კომისიის წევრების მონაწილეობით საბრძოლო ტექნიკისა და საბრძოლო ხომალდების თავმოყრის ადგილებზე.

გაერთიანებულმა კომისიამ კონფლიქტის მხარეებისაგან მოითხოვა დაუყოვნებლივ მიიღონ ზომები დროებითი საკონტროლო ჯგუფებისათვის ნორმალური პირობების შესაქმნელად.

მანვე რუსეთის ნაწილს დაავალა დღე-ღამის განმავლობაში განსაზღვროს დიდი სადესანტო ხომალდის გამოყოფის შესაძლებლობის საკითხი კონფლიქტის ზონიდან ტექნიკისა და მძიმე შეიარაღების ტრანსპორტირებისათვის.

კომისიამ ცნობად მიიღო კონფლიქტში მონაწილე მხარეთა განცხადება იმის თაობაზე, რომ ისინი გარანტიას იძლევიან, არ გამოიყენონ საბრძოლო ტექნიკა.

კონფლიქტში მონაწილე მხარეები ობიექტების და ადგილების განაღმვის შემდეგ შეუდგებიან თავდაცვითი ფორტიფიკაციული მოწყობილობების განადგურებას.

კომისიამ დაადასტურა თავისი გადაწყვეტილება შინაგანი ჯარების პოლკსა და განაყოფებში 300-300 კაცის ჩარიცხვის შესახებ. მხარეები განაგრძობენ აღნიშნული ფორმირებების სტრუქტურებისა და საშტატო რაოდენობის განხილვას.

26 აგვისტოს ცნობილი გახდა, რომ საქართველოს სამხედრო ფორმირებათა სარდლობამ, რომელიც ასრულებს სოჭის სამმხრივი შეთანხმების პირობებს ცეცხლის შეწყვეტის შესახებ, კონფლიქტის ზონიდან დაამთავრა მძიმე ტექნიკის გაყვანა როგორც გუმისთის, ასევე ოჩამჩირის მიმართულებით.

26 აგვისტოს ცეცხლის წინა ხაზზე გაემგზავრნენ გაერთიანებული კომისიის საინსპექციო ჯგუფები, რათა ადგილზე დარწმუნდნენ მოწინააღმდეგე მხარეთა მიერ სამმხრივი შეთანხმების ზემოაღნიშნული მნიშვნელოვანი პუნქტის შესრულებაში.

იოსებ ბოზბეჩია.

●

მძიმე ტექნიკა გამოყვანილია

როგორც 1993 წლის 26 აგვისტოს დილაადრიან გვაცნობეს აფხაზეთში დისლოცირებული საქართველოს შეიარაღებული ძალების პრესცენტრიდან, ქართული შეიარაღებული ფორმირებების სარდლობამ, ასრულებს რა ცეცხლის შეწყვეტის შესახებ სოჭის სამმხრივი შეთანხმების პირობებს, დაამთავრა მძიმე ტექნიკის გაყვანა კონფლიქტის ზონიდან როგორც გუმისთის ისე ოჩამჩირის მიმართულებებით.

თენგიზ ჯიბუტი.

ამ დღეებში

გვატყობინებენ „საქართველოს რესპუბლიკის" და საქინფორმის კორესპონდენტები

ფაქტი მოვლენა კომენტარი

ჭამა ქონებაზე კიდია, ქონება მუხლჩაუხრელ შრომაზე



იმისათვის, რომ მანქანები პლანტაციებში გასულიყვნენ, ბევრი შრომა დაიხარჯა. ოზურგეთის რაიონის ნარუჯის აგროსამრეწველო კომბინატის მობილური მანქანები ჩაის პლანტაციებში მუშაობის დროს.

სურათზე: მოსავლის მექანიზებული კრეფა ნარუჯის ჩაის პლანტაციებში.

ზია სამსონიას ფოტო.
საქინფორმის ფოტოქრონიკა

ედუარდ შევარდნაძის სტატია „ნატო-რევიუს" ფურცლებზე

ბელგიაში გამომავალი ჟურნალის „ნატო-რევიუს" ერთ-ერთ ბოლო ნომერში დაიბეჭდა საქართველოს სახელმწიფოს მეთაურის ედუარდ შევარდნაძის სტატია ბრიუსელში ნატოს წევრ სახელმწიფოთა საბჭოს სხდომაზე მისი გამოსვლის მიხედვით. სტატიაში განხილულია თანამედროვე საერთაშორისო ვითარების ძირითადი ასპექტები, ახალ დამოუკიდებელ სახელმწიფოთა მშენებლობა, აღმოსავლეთისა და დასავლეთის ურთიერთობა, მსოფლიო და რეგიონალური კონფლიქტების მოგვარების გზები და სხვა აქტუალური პრობლემები. როგორც ცნობილია, საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის — სახელმწიფოს მეთაურის ედუარდ შევარდნაძის ვიზიტი ნატოს შტაბ-ბინაში წლეულს ივნისში, საერთაშორისო ცხოვრების მნიშვნელოვანი მოვლენა გახდა. ბრიუსელში გამართულ შეხვედრაზე ნატოს გენერალურმა მდივანმა მანფრედ ვერნერმა მაღალი შეფასება მისცა ედუარდ შევარდნაძის პირველ სტუმრობას ნატოში, რომელიც აღქმული იყო როგორც ნიშანი „ცივი ომის" დამთავრებისა. მეორედ კი მას მასპინძლობდნენ, როგორც დამოუკიდებელი საქართველოს ხელმძღვანელს. თანამშრომლობის საბჭოს სურს, აღნიშნა გენერალურმა მდივანმა, რომ უფრო მეტი გაუკეთოს საქართველოს, უფრო უკეთესი და მჭიდრო თანამშრომლობა დაამყაროს მასთან. თქვენს ვიზიტსაც, ხაზი გაუსვა ბატონმა ვერნერმა, ამ მიმართულებით გაჩენილ ახალ შესაძლებლობად მივიჩნევთ, ხოლო თქვენს მოსაზრებებს მსოფლიოსა და საქართველოში არსებული ვითარების შესახებ უდიდესი ინტერესით გავეცნობით ყველანი.

აჭიანურებენ საკითხის გადაწყვეტას

როგორც ცნობილია, სოჭში მიღწეულ მორიგებათა თანახმად, რუსეთის საზღვარზე, აგრეთვე მდინარეებთან ფსოუსთან და ენგურთან, უნდა დააყენონ დროებითი გაძლიერებული საკონტროლო ჯგუფები. გუშინ, 26 აგვისტოს, გაერთიანებული კომისიის საქართველოს ნაწილმა გააკეთა განცხადება, რომელშიც, კერძოდ, ნათქვამია რომ აფხაზეთისა და რუსეთის მხარეები პირველი დღეებიდანვე აჭიანურებენ ამ საკითხის გადაწყვეტას. უკვე რამდენიმე დღეა საქართველოს მხარის მეთვალყურეები იმყოფებიან ქალაქ გაგრაში და ელიან ამ საკითხის გადაწყვეტას. მხოლოდ დღეს გადაიდგა პირველი ნაბიჯები შეთანხმებათა განხორციელების გზაზე. გაკვირვებას იწვევს აფხაზთა მხარის მიერ წამოყენებული ბრალდებანი იმის თაობაზე, თითქოს ქართველთა მხარეს არ გაჰყავდეს ჯარები კონფლიქტის ზონიდან. დღეისათვის გაყვანილია 3430 სამხედრო მოსამსახურე, ტექნიკა გატანილია კომისიის მიერ დადგენილ ადგილებში დასატვირთად. ასევე არ შეესაბამება სინამდვილეს ის, თითქოს ქართველთა მხარეზე არსებობდეს უკრაინელთა ბატალიონი. მით უმეტეს აღშფოთებას იწვევს ის ფაქტი, რომ აფხაზთა მხარე უარს ამბობს გადმოგვცეს სამხედრო ტყვეები, თუმცა არსებობს კომისიის ყველა წევრის მიერ ხელმოწერილი დოკუმენტი იმის თაობაზე, რომ სამხედრო ტყვეთა გადაცემა უნდა შედგეს 27 აგვისტოს. მრავალი დარღვევის მიუხედავად, ქართველთა მხარე თავს იკავებს ამ ფაქტების გახმაურებისაგან, რათა არ შეუშალოს ხელი სამშვიდობო მოლაპარაკების პროცესს.

ქვემო ქართლის პოლიციის სამმართველო მუშაობას შეუდგა

საქართველოს სახელმწიფოს მეთაურის განკარგულებით შეიქმნა შინაგან საქმეთა ქვემო ქართლის რეგიონალური სამმართველო. საქინფორმის კორესპონდენტი ესაუბრა სამმართველოს უფროსს, პოლიციის პოლკოვნიკ **ომარ იმნაძეს.**

— სამმართველოში შევიდა გარდაბნის, მარნეულის, ბოლნისის, დმანისის, წალკისა და თეთრიწყაროს პოლიციის რაიგანყოფილებები. სამმართველომ უნდა უზრუნველყოს ძალების კონცენტრაცია, რათა რეგიონში დამყარდეს წესრიგი, — თქვა ბატონმა ომარმა. ახალი სამსახური, რომელმაც ბინა დაიდო მარნეულის ყოფილი ქალაქკომის შენობაში, შეუდგა მუშაობას. უკანასკნელ ხანს მძიმე პოლიტიკურ-ეკონომიკურ და კრიმინოგენურ ვითარებასთან დაკავშირებით მკვეთრად დაიძაბა სიტუაცია. ქვემო ქართლის რეგიონში უამრავი იარაღი დაგროვდა და უკონტროლოდ არის გაბნეული ხალხში. უმუშევრობის დონემ ზღვარს გადააჭარბა. ამ რეგიონში ცხოვრობენ აზერბაიჯანელები, ბერძნები, რუსები, სომხები, ქურთები, ქართველები. ამჟამად რეგიონი განიცდის მწვავე მიგრაციას: რესპუბლიკას ტოვებენ ბერძენი და რუსი ეროვნების ადამიანები. რამდენიმე წელიწადია ხდება სტიქიით დაზარალებული რაიონებიდან ქართველი მოსახლეობის ჩამოსახლება, რომელთა ადაპტაციის პროცესიც რთულად მიმდინარეობდა. უმუშევრობა და უსაქმურობა გახდა დანაშაულის ჩადენის ფაქტორი. ცხოვრება გაჭირდა, მოსავალი არის, მაგრამ, ენერგომატარებლების სიმცირის გამო, მისი აღება ვერ ხერხდება. და ეს მაშინ, როცა ასეულობით ტონა საწვავი გადის რეგიონის გზებით მეზობელ ქვეყანაში. ხშირად რეგიონის მოსახლეობასა და ტვირთის შეიარაღებულ გამცილებელთა შორის ხდება შეტაკება.

დაფიქსირებულია ათეულობით ძარცვა-ყაჩაღობის ფაქტი. დაზარალებული მოქალაქეების უმეტეს შემთხვევაში რაიონული პოლიციის განყოფილებებს არ მიმართავენ შიშით ან იმის გამო, რომ პოლიცია მაინც ვერაფერს გახდებაო. ფაქტობრივად, პოლიცია ვერ ფლობს ვითარებას, სამაგიეროდ, და, ჩვენდა სამწუხაროდ, რეგიონში დამნაშავეთა ფორმირებები დათარეშობენ. მოხდა ავტომაგისტრალების, ხიდების, ნავთობ და გაზსადენების რამდენიმე აფეთქების შემთხვევა. საქართველოს ეკონომიკამ მძიმე მატერიალური ზარალი განიცადა. ფაქტობრივად, საქართველო შექმნილი ვითარების მხრივ, არასასურველი პარტნიორი გახდა მეზობელი ქვეყნებისათვის, რადგან ვერ შევძელით ავტომაგისტრალებსა და რკინიგზაზე ტვირთის, გაზისა და ნავთობსადენების დაცვა.

სამმართველოს შექმნის თაობაზე ახლა ბევრს ლაპარაკობენ. ზოგი ამტკიცებს, რომ ეს კიდევ ერთი დანამატია უმოქმედო რაიგანყოფილებებისა. მაგრამ, შედარებით მოკლე დროში სამმართველოში მოდიან და გვიზიარებენ თავიანთ გასაჭირს მოქალაქეები. ინფორმაცია გვაქვს ტრანსპორტის, ბინების ძარცვისა და მოქალაქეთა გატაცების ფაქტებზე. მიმდინარეობს ოპერატიული მუშაობა საქმეთა გახსნის მიზნით.

ახლახან სამმართველოს თანამშრომლებმა რუსთავის პოლიციის სამმართველოსთან და პროკურატურასთან ერთად ფაქტზე დააკავეს ბოროტმოქმედთა საშიში ჯგუფი, რომლებიც ცდილობდნენ რუსთავის მეტალურგიული ქარხნის ინჟინრისათვის წაერთმიათ 50 მილიონი რუსული მანეთი. დაკავებისას ბოროტმოქმედებს აღმოაჩნდათ ხელყუმბარები, ნარკოტიკები, ხოლო ბინიდან ამოღებულ იქნა ავტომატი და საბრძოლო მასალა.

ჩვენ, თქვა საუბრის დასასრულს ომარ იმნაძემ, ვაცხადებთ რეგიონს უიარაღო ზონად, ეს იმას ნიშნავს, რომ შეიარაღებული პიროვნების გამოჩენა, გარდა პოლიციელისა, საგანგებო შემთხვევად გამოცხადდება. სამმართველოს თანამშრომლები ყველაფერს ვიღონებთ იარაღის ჩამორთმევისა და კანონიერი გადაწყვეტილების მისაღებად. მაგრამ ისიც ცხადია, რომ მარტო ვერაფერს შევძლებთ, თუ მხარში არ ამოგვიდგებიან თავდაცვის სამინისტრო, რესპუბლიკის პროკურატურა, საბჭოს ხელმძღვანელობა, და, რაც მთავარია, მოსახლეობა.

გულიკო მარკოზაშვილი.

მოსკოვში ჯერ არ აცივებულა

17 აგვისტო — საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფოს მეთაურის ოფიციალური ვიზიტი აზერბაიჯანში, გზად (თუ გზად მქვია 3-საათიან საუბრებს აზერბაიჯანის ხელმძღვანელობასთან) — ბაქო; 28-ში — ერთი დღის სამუშაო ვიზიტი მოსკოვში, შეხვედრები ბორის ელცინთან, ვიქტორ ჩერნომირდინთან, მოლაპარაკებები, პრესკონფერენციები, ინტერვიუები...

ღიად დატოვებული საკითხი

ასეთ სამუშაო დღეთა შორის (იქნებ — დღე-ღამეთა? რადგან ღამის სამი საათისათვის მთავრდება ხოლმე ერთი ასეთი „სამუშაო მონაკვეთი") გამოზომილი, მშვიდი, ნორმალური რიტმით მცხოვრები კაცი ხეირიანად ამოსუნთქვასაც ვერ მოასწრებს. აქ კი, ამ შემთხვევაში, ზუსტად იგივე ინტენსივობით გრძელდება ყველა თბილისური დღე 18-დან 22-მდე.

— საიდან იღებს ამ ენერგიას? — ვეკითხები ქალბატონ ნანული ცაგარეიშვილს — ედუარდ შევარდნაძის მეუღლეს.

— კოსმოსიდან. — **ხუმრობით მიპასუხებს ქალბატონი ნანული. მერეც, შუა საუბარში გამიმეორებს — ვხუმრობ. მაგრამ ამ ფენომენის ახსნა მხოლოდ მიწიერი განზომილებით ძნელია. თქვენ შეგიძლიათ? ამიტომ „ღიად დავტოვოთ ეს საკითხი".**

— ადრეც ასე იყო?

— მთელი ცხოვრება ასეა. ყველგან, სადაც უმუშავია, მთელი დატვირთვითა და ენერგიის დაუზოგავად შრომობდა. უკანასკნელს ხარჯავს, როცა აქვს. მაგრამ ძალიან სწრაფი აღდგენის უნარიც აქვს, რელაქსაცია ძალიან სწრაფად ხდება. ოჯახშიც ვცდილობთ, ხელი შევუწყოთ, რამდენადაც შეგვიძლია.

— ოჯახზე როგორღა მოქმედებს ცხოვრების ასეთი წესი?

— ოჯახი იქ სათვალავში აღარაა ჩასაგდები, სადაც დიდი საქმე კეთდება.

— თქვენი დიდი სიყვარულისა და მეგობრობის შესახებ, ქალბატონო ნანული, ყველამ [illegible] ეს სულიერი სიახლოვე ალბათ იმის საფუძველს იძლევა, რომ ბატონმა ედუარდმა გარკვეული იდეები საჯაროდ გაცხადებამდე თქვენთან შეამოწმოს".

— იდეას გააჩნია, თუ ეს რაიმე დიდი პოლიტიკური გადაწყვეტილების მიღებას შეეხება, — არა მგონია. გარკვეულ სფეროებსა და გარკვეულ საკითხებში, ალბათ, გვაქვს საერთო აზრი, მაგრამ ეს მის პოლიტიკურ მოღვაწეობას არ ეხება.

— ქალბატონო ნანული, როგორ ფიქრობთ, პრემიერ-მინისტრის კანდიდატურის საკითხის გადაწყვეტა სრულიად უნიკალური არაა?

— რა თქმა უნდა. ბევრს ვფიქრობდი, რა წინადადებას წამოაყენებდა, ვის კანდიდატურას დაასახელებდა, მაგრამ ამ ვარიანტს ვერც წარმოვიდგენდი. დაასახელა კი ზუსტად ის და სწორედ ის, ვინც საქართველოს დღევანდელი მდგომარეობისთვის საჭიროცაა და აუცილებელიც.

— იცით, — მეორე პაუზის შემდეგ განაგრძობს, — მისი ზოდიაქო დრაკონია და როცა ძალიან გაუჭირდება, თითქოს ცა გაეხსნება და ერთადერთ სწორ გადაწყვეტილებას პოულობს. ახლაც, ალბათ, ასე მოხდა.

ღამის თორმეტის ნახევარია 28 აგვისტოსი, თბილისამდე კიდევ ერთი საათის საფრენია. ეს წუთია დამთავრდა ინტერვიუ 8 ათას მეტრ სიმაღლეზე ქართველ ჟურნალისტებთან. აეროპორტში ბატონი ედუარდ შევარდნაძე მის დასახვედრად მოსულ მთავრობის წევრებს მოსკოვის მოლაპარაკებათა შედეგების შესახებ ეტყვის, სთხოვს გარკვეული საკითხების დაზუსტებას, მოამზადებს (ორი დღის შემდეგ პრემიერი მოსკოვს უნდა დაბრუნდეს პრინციპულ შეთანხმებათა მატერიალიზაციის საქმის დასასრულებლად).

ამასობაში მოაღწევს ის დრო, როდესაც არანორმირებული სამუშაო საათები უნდა დამთავრდეს. საათის ისრებმა მომდევნო დღის 2 საათი ჩაათავა.

ვახტანგ კობალია დაგვიმოწმებს

პრაქტიკულად ყველა არანორმირებული სამუშაო დღე სტრესული სიტუაციებითაა მდიდარი, მოულოდნელითა და მძაფრით. ზოგი ისეთია, ისე ამოგაგდებს კალაპოტიდან, ერთ კვირას ვერ დამშვიდდები.

იოლია სათქმელად — თუ ჩვეულის მართვა გაბარია, უნდა შესძლო საკუთარი ემოციის მოთოკვაც.

ღმერთები არ ჩამოდიან ოლიმპიდან, ყველანი ჩვეულებრივი ადამიანები ვართ და ყველასთვის ერთნაირად ძნელია ამის გაკეთება, სახელმწიფოებრივი იერარქიის რომელ საფეხურზეც უნდა ვიდგეთ.

მაგრამ საჭიროა.

კომპეტენტური კულუარები

28-ში მოსკოვში, საქართველოს საელჩოს წინ — აფხაზთა პიკეტი, ასე, 50 კაცი (შეიძლება, ცოტა მეტი). უმეტესად ქალები, წინა რიგში — ბავშვები გახუნებული ლოზუნგებით (პირდაპირი და გადატანითი მნიშვნელობით) საქართველოს ოკუპაციური ჯარების აფხაზეთიდან გაყვანის შესახებ, „აფხაზეთი საქართველო არ არის" და... და, მგონი, მეტი არაფერი. ჰო, ორი დროშა მწვანე ზოლებით და ხელისგულით.

სახელმწიფოს მეთაური, რომელიც მათთან მიდის სასაუბროდ, გასაგებად, გასარკვევად იმისა, თუ ამ ბოლოს და ბოლოს მიღწეულ მშვიდობიან სიტუაციაში რა აწუხებთ, რა სურთ, რატომ მიმართავენ „ქუჩის კონფრონტაციას", იძულებული ხდება განუცხადოს ვიღაცის ნაკარნახები შეძახილებით [illegible] ჯგუფს (რომლის წამოძახილები ძალიან ჰგავდა გუმისთის გაღმიდან პროვოკაციულ სროლას), რომ ასეთ სიტუაციაში დიალოგს აზრი არა აქვს და როცა დამშვიდდებიან, მათ წარმომადგენლებს მიიღებს საელჩოში.

მაგრამ ამ ჯგუფის დელეგაცია საელჩოში აღარ შევა.

და, აი, რატომ.

ლაპარაკობს ვილენ ალავიძე, ვაჭრობისა და მატერიალური რესურსების მომარაგების მინისტრის მოადგილე, რომელიც კარგა ხანს მუშაობდა აფხაზეთში და მოპიკეტეთა შორისაც აღმოაჩინა რამდენიმე ნაცნობი.

ბატონი ვილენი ეს წუთია შენობაში შემობრუნდა მათთან საუბრის შემდეგ.

— საოცარი ამბავია! ეს ხალხი აქ თურმე პროტესტის გამოსახატავად მოვიდა. თვითონ მითხრეს, რომ შარახ ფაჩალია, ცნობილი მსახიობი, შალვა ინალიფა, ეთნოგრაფი, პროფესორი, ალექსი არღუნი, კულტურის ყოფილი მინისტრი ქართველებმა დახვრიტესო....

ჩვენს კრიმინოგენურ და არეულ დროში ყველაფერს დაიჯერებს კაცი. მართალია, მსგავსი არაფერი გამიგია, მაგრამ, რა იცი, რა ხდება.... სარწმუნო წყაროებიდან ჩვენებმა შეგვატყობინესო, მიმტკიცებდნენ გამწარებულები, თანაც ვატყობ, რომ ძალიან სურთ პოლიტიკურ აქტად გამოაცხადონ ეს „ფაქტები": თუ ასე არ არის, მაშინ რატომ არ ეძებთ მკვლელებს, რატომ არ არის ფეხზე დაყენებული მთელი სამართალდამცავი ორგანოები. და ა. შ. და ა. შ. შემოვბრუნდი საელჩოში, სასწრაფოდ დავრეკეთ თბილისში, სოხუმში, ყველგან, სადაც საჭირო იყო და ყველა იმას გვიპასუხებდა — ეს ცუდი სიზმარი ვის დაესიზმრაო. რა თქმა უნდა, ჭორი აღმოჩნდა, პროვოკაციული ჭორი.

რას არ იგონებენ პოლიტიკური მოწინააღმდეგენი! როგორ გაწირეს სასიკვდილოდ ყველაზე, შეიძლება ითქვას, პოპულარული აფხაზები! ვის არ აძლევს ხელს მშვიდობა აფხაზეთში, თორემ მისახვედრია, სხვას თავი დავანებოთ, — თუნდაც ამ ფაქტიდან.

და მოპიკეტეთა აღშფოთების მეორე მიზეზი: საელჩოში პრესკონფერენცია ტარდება და ჩვენს წარმომადგენლებს რატომ არ დაასწრებთო! ეს არის დისკრიმინაცია, პრესის თავისუფლების შესახებ კანონის უხეში დარღვევა და მთელი, ამ შემთხვევისთვის მისადაგებული, თაიგული „შეურაცხყოფილი და ჩახშობილი დემოკრატიისა".

პრესკონფერენცია ჩვენს საელჩოში არ ჩატარებულა. და ჩვენც, ქართველი ჟურნალისტები იმ შემთხვევაში და იქ, პირდაპირ ვეტყვით, საქმით მაინცდამაინც დაკავებულები არ ვიყავით.

— რაღა ბევრი გავაგრძელო, მოპიკეტეებს ვუთხარი ყველაფერი, რაც ვიცი. ანუ — სიმართლე. ჩანს, თვითონაც გადაამოწმეს, ეტყობა დეზინფორმირებული ვიყავითო, მითხრეს.

საუბარი ბატონ ვილენთან მოთავებული არ გვქონდა, რომ ჩუმად აიკრიფა პიკეტი საელჩოს წინ ტროტუარიდან.

არ ვიცი, ბოდიში მოიხადეს თუ არა (კარგი კი იქნებოდა). მაგრამ მთავარი მაინც სხვაა: პირველი, ხალხი დარწმუნდა, რომ გააბრიყვეს, და, მეორე: ამ ჭორის, პროვოკაციული ინფორმაციის გავრცელების წყარო, ყველა მონაცემით, მარტო ერთ მხარეს არ მუშაობს.

თავად განსაჯეთ: ამ აქციის პარალელურად, რომელიც აფხაზთა შორის ქართველების საწინააღმდეგო განწყობილების გასაღვივებლად იყო გამიზნული, თბილისში გავრცელდა ქართველთა შორის აფხაზების საწინააღმდეგო განწყობილების გასაღვივებელი მეორე ჭორი: — მოსკოვში აფხაზები შევარდნაძეს თავს დაესხნენო.

ასეთ ტყუილს რომ გადაეყრებიან, გაიოცებენ ხოლმე სამეგრელოში და იტყვიან:

— სასწაული რე, ღორონთუმე! (სასწაულია, ღმერთმანი!).

„ჭორების ქარხანა", ალბათ, ერთადერთი საწარმოა, რომელიც მასალის დეფიციტს არასოდეს განიცდის და პროდუქციასაც შეუფერხებლად უშვებს.

ხარისხისა — რა მოგახსენოთ.

მოსკოვში დაგვახვედრეს ჭორი №2: წუხელ ახალი პრემიერის სახლი ზუგდიდში დაწვესო.

„წუხელ", როცა „სახლი დაიწვა", ამ სახლის პატრონი ბატონი ოთარ ფაცაცია ვახტანგ კობალიასთან და თავის ახალ თანამშრომლებთან ერთად იმ სახლში იყო.

არმაზ სანებლიძე.
(გაგრძელება იქნება)

ნომერში

⊙ პრობლემების მხოლოდ დანახვა არ კმარა 2
⊙ მთავარია დავამარცხოთ ომი 3

რომის პაპმა წერილი გამოუგზავნა ედუარდ შევარდნაძეს

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარემ — სახელმწიფოს მეთაურმა ედუარდ შევარდნაძემ მიიღო მისი უწმინდესობის რომის პაპის იოანე პავლე მეორის წერილი. წმიდა მამა მადლობას უხდის სახელმწიფოს მეთაურს იმის გამო, რომ მან პაპს გაუზიარა თავისი მოსაზრებები საქართველოში არსებულ სიძნელეებთან დაკავშირებით. წერილში ნათქვამია, რომ იგი მხურვალედ ლოცულობს იმ მისიის აღსრულებისათვის, რომელიც აკისრია საქართველოს სახელმწიფოს მეთაურს, და ღმერთს შესთხოვს მშვიდობა და თანხმობა მოუვლინოს საქართველოს ხალხს. მისი უწმინდესობა წერს, რომ ბედნიერი იქნება ბატონ ედუარდ შევარდნაძის მოწვევით ესტუმროს საქართველოს მაშინ, როცა პოლიტიკური სიტუაცია და კათოლიკური ეკლესიის შესაძლებლობები საშუალებას მისცემენ აღასრულოს ეს მეტად მნიშვნელოვანი განზრახვა.

რომის პაპი იოანე პავლე მეორე უსურვებს სახელმწიფოს მეთაურს, რომ მშვიდობა აფხაზეთსა და მიმდებარე რეგიონებში ხანგრძლივი ყოფილიყოს, რათა იქ მცხოვრებ მოსახლეობას ნათელი მომავალი ჰქონდეს.

— ნება მიბოძეთ, აღნიშნავს მისი უწმინდესობა წერილის დასასრულს, გამოვხატო თქვენდამი ჩემი საუკეთესო გრძნობები და ულრმესი პატივისცემა.

ოთარ ფაცაციამ მიიღო ამერიკის ელჩი

საქართველოს რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრმა ოთარ ფაცაციამ მიიღო ამერიკის შეერთებული შტატების სრულუფლებიანი და საგანგებო ელჩი საქართველოში კენტ ბრაუნი. ბატონი ელჩი დაინტერესდა ახალი მინისტრთა კაბინეტის ფორმირების საკითხით და იმით, თუ როგორ გაგრძელდება ორ ქვეყანას შორის კონტაქტები, რომლებიც უკვე დამყარებულია ეკონომიკურ და ფინანსურ სფეროებში.

ბატონმა ოთარ ფაცაციამ აღნიშნა, რომ ყველა კონტაქტი, რა თქმა უნდა, გაგრძელდება იმის მიუხედავად, თუ როგორ წარიმართება ახალი კაბინეტის ფორმირება.

ბატონი ბრაუნის კითხვაზე, თუ როგორი ვითარებაა სამეგრელოს რეგიონში, პრემიერ-მინისტრმა უპასუხა: — მე შემრიგებლური პოლიტიკის მომხრე ვარ. თვითონ ცხოვრება გვიკარნახებს, რომ გავერთიანდეთ და ერთად ვაშენოთ თავისუფალი, დემოკრატიული საქართველო.

მინისტრთა კაბინეტის პრესსამსახური.

გერმანელი ექსპერტების დახმარებით

25 აგვისტოს პარლამენტის სპიკერმა ვახტანგ გოგუაძემ მიიღო ბრემენის უნივერსიტეტის სამოქალაქო და სამეურნეო სამართლის პროფესორი დოქტორი როლფ კნიპერი.

საუბარი ძირითადად წარიმართა კანონშემოქმედებითი ურთიერთთანამშრომლობის შესახებ. ბატონმა ვ. გოგუაძემ აღნიშნა, რომ დიდ მნიშვნელობას ანიჭებს კანონშემოქმედებით საქმიანობაში გერმანელი ექსპერტების დახმარებას.

სტუმარმა გამოთქვა სურვილი მჭიდროდ ითანამშრომლოს საქართველოს პარლამენტთან.

პარლამენტის პრესცენტრი

ზურაბ კერვალიშვილმა მიიღო იაპონიის ელჩი

25 აგვისტოს ვიცე-პრემიერის მოვალეობის შემსრულებელმა ზურაბ კერვალიშვილმა მიიღო იაპონიის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი საქართველოში სუმიო ედამურა და იაპონელ ბიზნესმენთა ჯგუფი.

როგორც ბატონმა ედამურამ განაცხადა, იაპონიამ წითელი ჯვრის საერთაშორისო ორგანიზაციას გადასცა 1 მილიონი ამერიკული დოლარი, რომელიც მოხმარდება საქართველოსათვის ჰუმანური დახმარების შეძენას. გარდა ამისა, იაპონიას განზრახული აქვს 60 ათასი დოლარი მოახმაროს სამედიცინო ვაქცინების ტრანსპორტირებისათვის განკუთვნილი მოწყობილობის შეძენას საქართველოსათვის. იაპონელი ბიზნესმენები დაინტერესდნენ ჩვენი ქვეყნის ეკონომიკის განვითარების სტრატეგიით.

ბატონმა ზურაბ კერვალიშვილმა აღნიშნა, რომ იაპონიასთან თანამშრომლობას დიდი მნიშვნელობა აქვს საქართველოსათვის. მთელი რიგი პროექტების განხორციელება საჭიროებს იაპონელი სპეციალისტების მხარდაჭერას, ამისათვის კი აუცილებელია მათი ჩამოსვლა საქართველოში.

მინისტრთა კაბინეტის პრესსამსახური.

საუბარი საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროში

საქართველოს რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრმა ალექსანდრე ჩიკვაიძემ მიიღო იაპონიის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი რუსეთის ფედერაციაში სუმიო ედამურა, რომელიც პარალელურად დაინიშნა იაპონიის ელჩად საქართველოში.

ბატონმა ედამურამ მინისტრს გადასცა რწმუნების სიგელები და განაცხადა, მას დავალებული აქვს დაადასტუროს თავისი სახელმწიფოს მხარდაჭერა საქართველოში დემოკრატიული ცვლილებებისა და ეკონომიკური რეფორმებისადმი.

ამ ფაქტთან დაკავშირებით მასთან ერთად თბილისში ჩამოვიდა იაპონელ ბიზნესმენთა ჯგუფი, რომლებიც მართავენ საქმიან შეხვედრებს კოლეგებთან და წინასწარ დასახავენ ინვესტირებისათვის პერსპექტიულ დარგებს.

ალექსანდრე ჩიკვაიძემ ელჩს გადასცა შესაბამის ორგანიზაციებთან ერთად მომზადებული ხელშეკრულებების პროექტები, რომლებსაც ხელს მოაწერენ იაპონიის საგარეო საქმეთა სამინისტროსთან დაზუსტების შემდეგ.

გაერთიანებული კომისიის სხდომა გრძელდება

აფხაზეთში ვითარების მოწესრიგების გაერთიანებული კომისიის მერვე სხდომამ განიხილა საკითხები იმის შესახებ თუ როგორ სრულდება მხარეთა დაშორიშორებისა და ჯარების გაყვანის გეგმა-გრაფიკი და გაერთიანებული კომისიის დავალებანი შინაგანი ჯარების პოლკისა და ქვეგანაყოფების შექმნის შესახებ. გადაწყდა თითოეულ მათგანში 300-300 კაცი ჩართონ.

კომისიამ აღნიშნა, რომ მხარეებმა გასწიეს მნიშვნელოვანი მუშაობა აღმოსავლეთის ფრონტზე ჯარების დაშორიშორებისათვის. კომისიის წევრთა მონაწილეობით გადაწყდა 26 აგვისტოს მოეწყონ ერთობლივი საინსპექციო მოგზაურობა საბრძოლო ტექნიკის, აგრეთვე საბრძოლო ხომალდების თავმოყრის ადგილებში. კომისიამ მხარეებს მოსთხოვა დაუყოვნებლივ მიიღონ ზომები, რათა ნორმალური მუშაობის საჭირო პირობები შეექმნათ დროებით საკონტროლო ჯგუფებს. გაერთიანებული კომისიის რუსეთის ნაწილს დაევალა დღე-ღამის განმავლობაში განსაზღვროს კონფლიქტის ზონიდან ტექნიკისა და მძიმე საბრძოლო იარაღის ტრანსპორტირებისათვის დიდი სადესანტო ხომალდის მიცემის შესაძლებლობა.

გაერთიანებულმა კომისიამ ცნობად მიიღო კონფლიქტის მონაწილე მხარეთა განცხადება იმის შესახებ, რომ ისინი იძლევიან საბრძოლო ტექნიკის გამოუყენებლობის გარანტიას. მხარეები ადგილმდებარეობისა და სხვა ობიექტების განაღმვის დამთავრების შემდეგ შეუდგებიან თავდაცვით საფორტიფიკაციო ნაგებობათა მოშლას.

კომისიამ დაამტკიცა შინაგანი ჯარების პოლკისა და ქვეგანაყოფების ფორმირების საატესტაციო კომისიის შემადგენლობა.

ასი სტრიქონი პრესაზე

ვარაუდი არგუმენტის მაგიერ

ჩვენს პრესაში განსხვავებული აზრის არსებობას ვერავინ უარყოფს, ვერც მოყვარე და ვერც მტერი. მიუხედავად ამისა, სრულყოფილი, ცივილიზებული პოლემიკისგან მაინც შორს ვართ. საგაზეთო ფურცლებზე იბეჭდება ყველაფერი, — პოლიტიკურ ძალთა ანგარიშსწორებით დაწყებული, შეგნებული დეზინფორმაციით დამთავრებული. ჟურნალისტს შეუძლია უარყოს ან ეჭვის ქვეშ დააყენოს მოპოვებული ინფორმაცია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ გააჩნია ფაქტებით დასაბუთებული არგუმენტები.

ჩვენც ვეცდებით აღნიშნული ტენდენცია ფაქტებით დავასაბუთოთ.

გაზეთმა „რეზონანსმა" (№ 87) გამოაქვეყნა უკომენტარო ინფორმაცია, რომ პარლამენტმა უარყო კვრდალიშვილის, სარიშვილისა და გიორგაძის კანდიდატურები, შესაბამისად: პრემიერ-მინისტრის, საგარეო საქმეთა მინისტრის და თავდაცვის მინისტრის თანამდებობებზე. ამასთან დაკავშირებით ი. სარიშვილმა ინტერვიუ მისცა საქართველოს ტელევიზიის პირველ არხს, სადაც აღნიშნა, რომ ამ დეზინფორმაციის გამო, ეროვნულ-დემოკრატიული პარტია აპირებს სასამართლოში სარჩელი აღძრას. გაზეთ „რეზონანსის" მიერ გავრცელებული ჭორი ისე სწრაფად აგორდა, რომ მისი გაბათილება სახელმწიფოს მეთაურის პრესმდივანს მოუხდა.

ცხადია, შეცდომისგან არავინაა დაზღვეული. ამდენად, საზოგადოება რედაქციის შესაბამის რეაქციას ელოდა. პასუხი კი ასეთი გახლდათ: „რეზონანსს" ოფიციალური შეტყობინება სასამართლოს თაობაზე ჯერჯერობით არ მიუღია" (№ 88).

ამ ირონიული პასუხიდან გამომდინარე, უნდა დავასკვნათ, რომ გაზეთის რედაქციას დეზინფორმაცია დანაშაულად არ მიაჩნია და „რეზონანსისგან" ახალ სიურპრიზებს უნდა ველოდოთ.

დიდი ხანი არ არის, რაც ქართული პრესის მრავალრიცხოვან ოჯახს „ახალი თაობა" შეემატა. ჟურნალისტურ სამყაროში ახალი გაზეთის გამოჩენა ყოველთვის განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს. ჩვენც გულმოდგინედ ჩავუკვირდით რას ამბობს ახალი „ახალი თაობა" № 5: **სავარაუდოა,** — აღნიშნავს გაზეთი, — რომ ბორჯომში შექმნილი რთული ვითარების გამომწვევია მისი გამგეობის თავმჯდომარის, ოთარ გოცირიძის გადადგომა". სხვა წერილში ამოვიკითხეთ: „ოთარ ფაცაცია ძველ, კომუნისტურ კადრებს მიეკუთვნება. როგორც ჩანს, კრიზისის პირობებში სახელმწიფოს მეთაურმა შემოწმებულ, მისთვის ახლობელ პირებთან ირჩია თანამშრომლობა. **სავარაუდოა,** რომ ასეთი არჩევანი არც მას და არც საქართველოს მოუტანს სასიკეთო ცვლილებებს". და ბოლოს, კიდევ ერთი ვარაუდი: „შამიაშვილს ქართველობის შერიგება 28 აგვისტოს სურს. **სავარაუდოა,** რომ ამ სურვილის უკან პოლიტიკური ქულების დაწერის მიზანი დგას" (?!).

ძნელი სათქმელია რა დგას ქართველების შერიგების სურვილის უკან, ერთი კი ცხადია, რომ ეს პოლიტიკური ფანტაზიით შეფერილი ვარაუდები არგუმენტების დეფიციტით არის განპირობებული და ჟურნალისტური დილეტანტიზმის აშკარა მაგალითია.

მასობრივი კომუნიკაციების კვლევის ლაბორატორია.

საწარმო განსაკუთრებული რეჟიმით მუშაობაზე გადავიდა

შვიდი ელმავალი გამოუშვა მიმდინარე წლის დამდეგიდან თბილისის საწარმოო გაერთიანება „ელმავალმშენებლის" კოლექტივმა. საქინფორმის კორესპონდენტის კითხვას, ბევრია თუ ცოტა ეს, გაერთიანების გენერალურმა დირექტორმა გიორგი ზღუდაძემ უპასუხა, რომ ეს ძალიან ცოტაა. განვლილი წლების მანძილზე საწარმო წელიწადში 45-ას ელმავალს უშვებდა, რომლებსაც ციმბირისა და ურალის რკინიგზებს ვაწვდიდით. მათ მსოფლიო ბაზარზეც იცნობდნენ. ახლა კი არათუ ცოტას, არამედ მოძველებული „ვლ-11" და „ვ-13" მარკების ელმავლებს ვუშვებთ.

ახლა საწარმო მუშაობის განსაკუთრებულ რეჟიმზე გადავიდა. გამოვიძახეთ ყველა მუშაკი, რომლებიც ნედლეულისა და მასალების უქონლობის გამო იძულებით იყვნენ წასული შვებულებაში, გაძლიერდა დისციპლინისადმი კონტროლი.

ელმავლების ასაწყობად საჭირო მასალებისა და მაკომპლექტებელი ნაწარმის 80 პროცენტზე მეტი რუსეთიდან უნდა მივიღოთ. მაგრამ, თუ ნოვოჩერკასკმა რამდენადმე გააუმჯობესა მათი მოწოდება, ამას ვერ ვიტყვით კურსკის, პერმის, კოლჩუგინოს, ნიჟნი ტაგილისა და სხვა ქალაქების საწარმოებზე, მათი რიცხვი კი თითქმის 30-ს უდრის, იმის გამო, რომ საქართველოს არა აქვს დადებული ხელშეკრულება რუსეთთან, მათ არ მოგვაწოდეს არც ერთი ნაწარმი, არც თხოვნაზე რეაგირებენ. თუ ასე გაგრძელდა, ვერავითარი საგანგებო რეჟიმი ვერ გადაარჩენს საწარმოს დახურვისაგან. მძიმე მდგომარეობაში არიან მუშებიც, მათ აშკარად არ ჰყოფნით ხელფასი.

დავით რამიშვილი.

აქტუალური ინტერვიუ

ბანკი ხდება სააქციო საზოგადოება-რას უქადის ეს მეანაბრეს?

ამ დღეებში რესპუბლიკის სახელმწიფო კომერციული შემნახველი ბანკის კოლექტივის წარმომადგენელთა კრებამ მიიღო გადაწყვეტილება ბანკის სააქციო საზოგადოებად გარდაქმნის შესახებ და სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტროში შესაბამისი დოკუმენტები წარადგინა. ამ ფაქტთან დაკავშირებით ჩვენი კორესპონდენტი შეხვდა და ესაუბრა ბანკის გამგეობის თავმჯდომარეს ვლადიმერ ბატიაშვილს.

— ბანკის სააქციო საზოგადოებად გარდაქმნა, — თქვა ბატონმა ვლადიმერმა, — ნაკარნახევია სადღეისო ცხოვრებით და განპირობებულია რესპუბლიკის ეკონომიკური საფუძვლების შესახებ კანონით, რომელიც განმარტავს, რომ „საქართველოს ეკონომიკის სისტემა ეფუძნება საბაზრო ურთიერთობათა პრინციპებს".

— ვინ არის თქვენი სააქციო საზოგადოების დამფუძნებელი?

— საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის დადგენილების თანახმად ამ როლში გვევლინება სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტრო და, რასაკვირველია, სახელმწიფო. ბანკი, როგორც კომერციული დაწესებულება, შექმნილია ფულადი სახსრების მოზიდვის, მათი თავის სახელით განთავსების მიზნით დაბრუნებადობის, ფასიანობისა და ვადიანობის პირობით. იგი განყოფილებებისა და ფილიალების მეშვეობით ახორციელებს საბანკო ოპერაციებს როგორც ეროვნული ფულით, ისე უცხოური ვალუტით. მის მთავარ ფუნქციად რჩება საშემნახველო საქმის ორგანიზაციის სრულყოფა, იურიდიული და ფიზიკური პირების თავისუფალი ფულადი სახსრების მოზიდვა ანაბრებსა და ფასიან ქაღალდებში, დაკრედიტების პროგრესული ფორმების დანერგვა და საკასო საანგარიშსწორებო მომსახურება, უცხოეთის ბანკებთან ანგარიშსწორება. ბანკი უშვებს და ვაჭრობს საგადასახადო საბუთებითა და ფასიანი ქაღალდებით, საწარმოებისა და ორგანიზაციების თხოვნით იძენს და იჯარით გასცემს მოწყობილობებს, სატრანსპორტო საშუალებებს, მოძრავ და უძრავ ქონებას. აქვს სხვა ფუნქციებიც, უბრალოდ ყველაფერს ვერ ჩამოთვლი.

— ეს, ალბათ, არც არის საჭირო, მაგრამ ის კი საინტერესოა ვიცოდეთ, თუ რა თანხას შეადგენს ბანკის საწესდებო კაპიტალი.

— ამჟამად 750 მილიონ მანეთს, მაგრამ ახალი აქციონერების მოზიდვის შემდეგ დღევანდელი კურსით იგი, ალბათ, გაუტოლდება 2,5-3 მილიარდ მანეთს.

სააქციო საზოგადოებად გარდაქმნის წყალობით ბანკს შეუძლია თავისი სახელით დადოს ხელშეკრულებანი, შეიძინოს ქონებრივი და კერძო არაქონებრივი უფლებები, იკისროს ვალდებულებები, იყოს მოპასუხე და მოსარჩლე არბიტრაჟში.

— ეს ყველაფერი კარგია, მაგრამ გააქციონერება ბანკს ხომ არ შეუცვლის თავის ძირითად მიმართულებას?

— არა. ბანკმა უნდა შეინარჩუნოს ის სოციალური მიმართულება, რომელიც მას ადრეც ჰქონდა და ახორციელებდა თავისი ფართო ქსელის მეშვეობით. ამიტომ, ალბათ, მიზანშეწონილია სახელმწიფო, როგორც ერთ-ერთი დამფუძნებელი, შევიდეს ახლად შექმნილი ბანკის შემადგენლობაში, ისე რომ მისმა წილმა საწესდებო ფონდის სულ ცოტა 35 პროცენტი შეადგინოს. დანარჩენი იქნება სხვა აქციონერების სახსრები, რაც მოხმარდება ბანკის ტექნიკურ გადაიარაღებას და მის საერთაშორისო საბანკო სტრუქტურებში ჩართვას. ეს კი ისევ რესპუბლიკის ეკონომიკის განმტკიცებისა და მეანაბრეთა მომსახურების გაუმჯობესების დიდი რეზერვია.

— სახელმწიფოს გარდა ვინ იქნებიან ბანკის აქციონერები?

— მსხვილი კომერციული სტრუქტურები, ფირმები, კერძო პირები, მათ შორის ბანკის თანამშრომლები.

— ბატონო ვლადიმერ, როგორც ჩანს, ეს ყველაფერი წაადგება ბანკის ეკონომიკურ მდგომარეობას, ძლიერი სარეზერვო ფონდის შექმნას, მაგრამ, ამასთან ერთად, რას აძლევს ან რა უნდა მისცეს ბანკის სააქციო საზოგადოებად გარდაქმნამ მომხმარებელს, პირველ რიგში მეანაბრეს და მთლიანად ქვეყნის მოსახლეობას?

— რა თქმა უნდა, ეს ღონისძიება თვითმიზანი არ გახლავთ, იგი უპირველესად მოემსახურება მეანაბრის, რესპუბლიკის მთელი მოსახლეობის ინტერესების უკეთ დაცვას, საბანკო მომსახურების ფორმებისა და მეთოდების გამრავალფეროვნება-გაფართოებას. თუ მხედველობაში მივიღებთ იმას, რომ ჩვენი ბანკის სისტემაში შედის 85 განყოფილება და 1200 ფილიალი, სადაც მუშაობს რესპუბლიკის საბანკო სისტემაში დასაქმებულთა ნახევარზე მეტი, ძნელი არ იქნება იმის განსაზღვრა, თუ ქვეყნის ეკონომიკის გაჯანსაღებაში რა როლის შესრულება შეუძლია შემნახველი ბანკის უნარიან, გამართულ მუშაობას, მის ძლიერ მატერიალურ-ტექნიკურ და ეკონომიკურ ბაზას.

შემნახველი ბანკის სააქციო საზოგადოებად გარდაქმნა, ეს მხოლოდ საკუთრების ფორმის უბრალო შეცვლა როდია. ეს ყველაზე მოკლე და პერსპექტიული გზაა იმ მიმართულებით, რომ იგი სიცოცხლისუნარიანი გახდეს, განიმტკიცოს საკუთარი მატერიალურ-ტექნიკური ბაზა. მომძლავრდეს ეკონომიკურად, აღიჭურვოს თანამედროვე ტექნიკური საშუალებებით, დაამყაროს ორმხრივად ხელსაყრელი ურთიერთობები საზღვარგარეთის ქვეყნების წამყვან ბანკებთან, შექმნას საკუთარი მყარი სარეზერვო კაპიტალი, რათა მიაღწიოს მთავარს — გახდეს მეანაბრეთა ინტერესების საიმედო გარანტი და დამცველი, შეძლოს მისთვის მინდობილი სახსრების ინფლაციური პროცესებისაგან მაქსიმალური დაცვა. უფრო მეტიც, ბანკს საშუალება მიეცემა არ დაელოდოს სახელმწიფოს გადაწყვეტილებას ან ნებართვას და დამოუკიდებლად გაზარდოს ანაბრებზე საპროცენტო განაკვეთები, მოახდინოს მათი ინდექსაცია და სხვა. ერთი სიტყვით, ბანკი სახელმწიფოსგან დამოუკიდებლად შეძლებს თვითონვე მოაგვაროს თავისი პრობლემები. თუმცა მას სხვა გზა არც ექნება, ვინაიდან მწვავე კონკურენციის პირობებში თვით ბანკის აქციების მფლობელნი აღმოჩნდებიან გაკოტრების საფრთხის წინაშე, რაც ახლო მომავალში ასერიგად ემუქრება ხელოვნურად მომრავლებული ბანკების დიდ ნაწილს.

დიდად წაგვადგება ისიც, რომ ბანკის შემოსავლები და სააქციო კაპიტალში მოზიდული დამატებითი სახსრები განივთდება მისი განყოფილებებისა და ფილიალების შენობა-ნაგებობებში, ტექნიკურ და სტრუქტურულ გადაიარაღებაში. არადა, დღეს იმ თანხებიდან, სახელმწიფოს რომ რჩება ბანკების მოგებიდან, თვით ბანკებს თითქმის არაფერი ხმარდება. აღსანიშნავია, რომ ბევრ ქვეყანაში შემნახველ ბანკს მინიჭებული აქვს მნიშვნელოვანი შეღავათები ბიუჯეტში შენატანების საკითხში, ზოგ ქვეყანაში კი იგი საერთოდ გათავისუფლებულია გადასახადისაგან.

— თქვენ ბრძანეთ, რომ მომავალში შემნახველი ბანკი შეძლებს ანაბრებზე დამოუკიდებლად გაზარდოს საპროცენტო განაკვეთები.

— ჩვენმა ბანკმა ეს კიდეც შეძლო მიმდინარე წლის 1 ივლისიდან, როცა მთავრობაში შევიდა წინადადებით და მიიღო ნებართვა თავისი კომერციული საქმიანობის წყალობით 3-4-ჯერ გაეზარდა ანაბრების საპროცენტო განაკვეთები. თუმცა, უნდა ითქვას, ამ მიზნით სამოღვაწეოდ შემოსავლების გადიდების შესაძლებლობანი ბანკს საკმაოდ შეზღუდული აქვს. გამოსავალი ერთია — კომერციული საქმიანობის გააქტიურება, რასაც შემნახველი ბანკები საბჭოთა სტრუქტურებში მოკლებული იყვნენ. ისინი უბრალო საკრედიტო რესურსების შემკრების როლში გვევლინებოდნენ, ფიქრით კი მათ მაგივრად „ზემოთ" — ცენტრში, მოსკოვში ფიქრობდნენ. არადა, ბანკების განვითარებული, კარგად ორგანიზებული სისტემის გარეშე (რომელიც მოქმედებს სწორედ კომერციულ საფუძველზე) რეალური და ეფექტიანი საბაზრო მექანიზმის შექმნისაკენ სწრაფვა შეიძლება მხოლოდ კეთილ სურვილად დარჩეს.

დღევანდელი ეკონომიკური კრიზისის პირობებში კომერციული ბანკები წარმოადგენენ საფინანსო სისტემის ცენტრებს, რომლებიც თავს უყრიან ხელისუფლების, საქმიანი წრეებისა და ასეულ ათასობით კერძო პირის ანაბრებს. ისინი სასესხო და საინვესტიციო ოპერაციების მეშვეობით თავიანთი რესურსებისაკენ გზას უხსნიან სხვადასხვაგვარი სესხის მიმღებებს — კერძო პირებს, ფირმებს, კომპანიებს, თვით ხელისუფლებასაც.

— გამოდის, რომ ბანკი არა მარტო ანაბრებს ინახავს, სესხებსაც გასცემს?

— რა თქმა უნდა, სხვანაირად ის საერთოდ ბანკი არ იქნებოდა. მარტო ბოლო ერთი არასრული წლის განმავლობაში შემნახველმა ბანკმა რამდენჯერმე გაზარდა საკრედიტო დაბანდება იმ კომერციულ და სახელმწიფო სტრუქტურებში, რომლებსაც რესპუბლიკაში კვების პროდუქტებისა და ფართო მოხმარების საქონლის შემოსატანად საზღვარგარეთის ფირმებთან ჰქონდათ გაფორმებული კონტრაქტები.

საქმიანობის სფეროს გაფართოებამ, უნივერსალიზაციის პირველმა ნაბიჯებმა ბანკს საშუალება მისცა განეხორციელებინა სხვა ღონისძიებანიც. ამათგან უმთავრესია კრედიტები, რომლებიც გაიცა მოსახლეობის სოციალური საჭიროებისათვის — ბინების მშენებლობა, შესყიდვა, კაპიტალური რემონტი, საბაღე სახლების მშენებლობა, პირუტყვის შეძენა და სხვა. სესხები ძირითადად მიეცათ სოციალურად ნაკლებად დაცულ, სტიქიური უბედურებით დაზარალებულ, აგრეთვე დემოგრაფიული მდგომარეობის გასაუმჯობესებლად ადგილგადანაცვლებულ მოქალაქეებს, თანაც უაღრესად შეღავათიანი პირობებით.

— ბატონო ვლადიმერ, ცნობილი ამბავია, ბანკმა საკუთარი კაპიტალი, უწინარეს ყოვლისა, უნდა მოახმაროს ანაბრების დაცვას, მოსახლეობის მიერ ბანკში შემოსული ფულის მყიდველუნარიანობის შენარჩუნებას, რის გაკეთებაც დღევანდელ დუხჭირ პირობებში არა თუ შესაძლებელი, წარმოუდგენელიც კია. ვითარება განსაკუთრებით დამძიმდა კუპონების მიმოქცევაში შემოღების შემდეგ, როცა მეანაბრემ თითქმის მთლიანად დაკარგა თავისი დანაზოგები. ბუნებრივია, ამან მნიშვნელოვნად შეარყია მოსახლეობის ნდობა შემნახველი ბანკისა და მისი სახით — სახელმწიფოსადმი.

— მართალი ბრძანდებით. სახელმწიფო აკი შეეცადა კიდეც ბანკის ანაბრების ინდექსაციის გზით ერთგვარად განემუხტა სიტუაცია (მოსახლეობა ამ თანხას წლეულს აგვისტოში მიიღებს), მაგრამ ეს, შეიძლება ითქვას, მხოლოდ ზღვაში წვეთია იმასთან შედარებით, რაც ხალხმა იზარალა. მეანაბრე ფაქტობრივად კვლავ დაუცველი დარჩა — ინდექსაცია, საპროცენტო განაკვეთების ვერავითარი ზრდა ვერ დაეწევა დღევანდელ ინფლაციას. მაგრამ ასეც რომ მოხდეს, იგი ვერაფერი სახარბიელო იქნება ქვეყნისა და მეანაბრისთვის, რადგან იგი გამოიწვევს ინფლაციის უფრო მძლავრ ტალღას.

— გამოსავალს რაში ხედავთ?

— პარლამენტმა და მთავრობამ უნდა შეიმუშაონ ფულად-საკრედიტო პოლიტიკა, რომელიც მათ დღემდე არ ჰქონდათ. თუ ინფლაცია არ შეჩერდა, არც ერთი ბანკის საქმიანობას შედეგი არ ექნება. ამიტომაც ინფლაცია უნდა შეჩერდეს, იგი უეჭველად უნდა დაითრგუნოს. მაგრამ მკაცრი ფულად-საკრედიტო ორიენტაციის, წარმოების აღდგენის გარეშე ამის გაკეთება შეუძლებელია. რეალურ დონეზე უნდა ავიყვანოთ ეროვნული ბანკის რეფინანსირების საპროცენტო განაკვეთი. სწორედ იმან, რომ ეს არ გვქონდა მთელი წლის განმავლობაში (რასაც ზედ ერთვოდა წარმოების მოშლაც), განაპირობა კუპონების გაუფასურება.

სიტყვა რომ არ გამიგრძელდეს, მოკლედ ვიტყვი: სახელმწიფო ყველგან და ყოველთვის მოვალეა ზარალისგან დაიცვას შემნახველ ბანკებში შეტანილი ანაბრები. ამას სოციალურ-პოლიტიკურ და იურიდიულ ასპექტებთან ერთად აქვს ეკონომიკური მიმართულებაც — საფინანსო ბაზრების შექმნაში მოსახლეობის ანაბრები საკვანძო როლს ასრულებენ. ამიტომ, მოსახლეობისთვის ინფლაციით მიყენებული ზარალის ანაზღაურება უნდა მოხდეს ეტაპობრივად, თანდათანობით, სახელმწიფოს ეკონომიკური აღორძინების კვალობაზე, თანაც არა ანაბრების გაორმაგება-გასამმაგებით, არამედ სრული ინდექსაციის პირობით.

ამ ღონისძიებით რამდენიმე ამოცანა გადაწყდება. უმნიშვნელოვანესი კი ის არის, რომ აღდგება მოსახლეობის ნდობა შემნახველი ბანკისა და სახელმწიფოსადმი. სახელმწიფო კვლავ დაიბრუნებს სახსრების დაგროვების ეფექტიან წყაროს, რაც გამოაცოცხლებს საინვესტიციო პროცესს, ქვეყანაში გამოჩნდება რეალური მესაკუთრე, რომელსაც შეეძლება დაიწყოს მუშაობა, შეიძინოს მიწა, წამოიწყოს ბიზნესი. სახელმწიფოც თავის მხრივ პირადი დანაზოგების ხარჯზე გააფართოებს საფინანსო-საკრედიტო ბაზრის ტევადობას, გაზრდის საბანკო სისტემის პოტენციალს. შემდგომში კი ანაბრების ინდექსაციისა და ანტიინფლაციური პოლიტიკის მეშვეობით მოსახლეობის დანაზოგების შენარჩუნება მოგვცემს იმის საშუალებას, რომ ეკონომიკური რეფორმები რეალურად დავუკავშიროთ ადამიანთა ინტერესებს.

ესაუბრა

ოთარ ხუციშვილი.

სიტყვა პარლამენტის კომისიის თავმჯდომარეს

ბეჟან ხურციძე:

პრობლემების მხოლოდ დანახვა არ კმარა

ეს ინტერვიუ საქართველოს პარლამენტში მუდმივმოქმედი კომისიების შექმნის პირველ ხანებში უნდა შემდგარიყო. სპორტისა და ტურიზმის კომისიის თავმჯდომარემ, ბატონმა ბეჟან ხურციძემ მაშინ თავი შეიკავა იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ სურდა კონკრეტულად გადადგმულ ნაბიჯებზე ესაუბრა და არა მხოლოდ გეგმებზე. მას შემდეგ, საკმაო დრო გავიდა, ამჟამად, ბეჟან ხურციძე ინტერვიუერს საუბარზე დათანხმდა.

— ბატონო ბეჟან, — საპარლამენტო კომისიები უკვე რამდენიმე თვეა მუშაობენ, ალბათ, პრობლემები თქვენს კომისიასაც უამრავი გაუჩნდა...

— პრობლემებს რა გამოლევს. მთავარია, პრობლემებთან მისადგომი და დასაძლევი გზები დაიძებნოს, თორემ უმოქმედობა-ინერტულობის გამართლება სიძნელეების მოშველიებით ყოველთვის შეიძლება.

— გამოდის, რომ სიძნელეების გადალახვის გზით მიდიხართ...

— რა თქმა უნდა, მთავარია, საქმე და მხოლოდ საქმე, რომლის წინაშე ყველა პრობლემა უკან იხევს.

— ვიდრე კონკრეტულ საქმეზე ვისაუბრებდით, გვიბრძანეთ, საპარლამენტო კომისია ყოფილი ზემდგომი ორგანოების მსგავსი სტრუქტურა ხომ არ არის?

— საპარლამენტო კომისიებს მკაცრად აქვთ განსაზღვრული თავიანთი მოვალეობა — ძირითადად ესაა კანონშემოქმედება და მიღებული კანონების შესრულებაზე კონტროლი. თუმცა, ძველებური დოგმები ხალხში კვლავ შემორჩა, ბევრი ჩვენთან ისეთ საქმეზე და ისეთი საკითხების მოსაგვარებლად მოდის, რომელიც კომისიას არ ეხება. მაგრამ რას იზამ, ვალდებული ხარ მიიღო, მოუსმინო, რითაც შეგიძლია, დაეხმარო. თუმცა, იმას არ ვამბობ, რომ მთავარი საქმისთვის ვეღარ ვიცლით. კომისია, თავისი აპარატით, ინტენსიურად მუშაობს.

— კანონშემოქმედება, ცხადია, რთული საქმეა, მით უფრო, როცა ყველაფერს ყამირის გატეხვით იწყებ...

— დიახ, კანონები ბევრ სფეროში, მათ შორის, სპორტში და ტურიზმში, ახლა იქმნება, ნელნელა ივსება სამართლებრივი ვაკუუმი, ვმუშაობთ პროექტებზე — ძირითადი ესაა. კანონი, რომელსაც განიხილავს შემდგომ მიიღებს პარლამენტი სპორტში და ტურიზმში რეფორმის, მიზანმიმართული საქმიანობისა და, რაც მთავარია, სასურველი შედეგის გარანტი უნდა იყოს. რაც უფრო ღრმად ვწვდებით საკითხებს, მით უფრო ვრწმუნდებით, რომ კანონის მომზადება უდიდესი პასუხისმგებლობაა.

— რა ეტაპზეა კანონპროექტებზე მუშაობა?

— სპორტშიც და ტურიზმშიც კანონპროექტები მზადაა. ტურიზმში, მაგალითად, კანონპროექტის ოთხი, სპორტში კი სამი ვარიანტი იყო წარმოდგენილი. კომისიასთან ცალკე მუშაობს სპორტისა და ცალკე ტურიზმის ქვეკომისია, სამეცნიერო-საკონსულტაციო საბჭო, სადაც მოწვეულნი არიან მაღალი რანგის სპეციალისტები. მათ დიდი წვლილი შეიტანეს კანონპროექტების განხილვა-მომზადებაში. აქვე ვიტყვით, მომზადებულია დადგენილება ტურიზმის ქარტიისა და ტურიზმის კოდექსის შესახებ.

— როგორ ფიქრობთ, იმ სოციალურ და პოლიტიკურ პირობებში, როგორშიც კარგა ხანია ვიმყოფებით, იმუშავებს კანონები?

— ეს შეკითხვა ალბათ ნებისმიერ სფეროს კანონს შეეხება. მკვდრადშობილი კანონის მიღებას რა აზრი აქვს. სპორტი და ტურიზმი საქართველოში მეორეხარისხოვანი საქმე არასოდეს ყოფილა და არც იქნება. არის გამოცდილება, ტრადიციები, წარმატებები, ასე თუ ისე, მუშაობენ სტრუქტურები. კანონის მიზანია, დაეხმაროს მათ მუშაობის უკეთ წარმართვაში.

— კანონპროექტზე მუშაობისას საფუძვლად მხოლოდ ჩვენში არსებული გამოცდილება აიღეთ?

— არა, რა თქმა უნდა, მაგრამ საკუთარ გამოცდილებას, ცხადია, თუ გაგაჩნია, მაინც დიდი როლი ეკისრება. ეს აისახა პროექტებში, თუმცა, ჯეროვნადაა გათვალისწინებული საერთაშორისო მიღწევები და სამართლებრივი ნორმები, ურომლისოდ ჩვენი სპორტული და ტურისტული ინტეგრაცია შეფერხდებოდა. სპორტის დარგში შეიქმნა შესაძლებლობა და საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის წარმომადგენლებით, საერთაშორისო სემინარებში, რომლებიც იურიდიულ და ეკონომიკურ საკითხებს მიეძღვნა, მონაწილეობდნენ ჩვენი ქვეყნის წარმომადგენლები, მათ შორის, იყვნენ ჩვენი კომისიისა და სამეცნიერო-საკონსულტაციო საბჭოს წევრები. ეს დიდად დაგვეხმარა. საგულისხმოა, რომ ჩვენი დელეგაციების მივლინების მთლიანი ხარჯები საერთაშორისო ოლიმპიურმა კომიტეტმა გაიღო.

ბარემ აქვე ვიტყვი: ჩვენმა კომისიამ მოიწადინა, რომ კანონპროექტების შემუშავებაში მონაწილეობა მიეღო ფართო საზოგადოებრიობას. საქმეში ჩაერთო პრესა. მივიღეთ მრავალი წინადადება. ამას გარდა, სისტემატურად ვეცნობოდით და ვეცნობით მსოფლიოს მოწინავე სპორტული ქვეყნების გამოცდილებას.

— თქვენი კომისია სპორტისა და ტურიზმის კომისიაა, ამ ორი დარგის სამინისტრო კი გაიყო ცალ-ცალკე კომიტეტებად. როგორ ფიქრობთ, სწორი იყო თუ არა, ასეთი გადაწყვეტილება და, რაც მთავარია, წაადგა თუ არა საქმეს?

— გადაწყვეტილება პარლამენტმა მიიღო, ასე რომ, პიროვნული აზრი ამ შემთხვევაში, არაფერს ნიშნავს. სამინისტროს ნაცვლად კომიტეტების შექმნა საქმეს წაადგა, ვერ ვიტყვი. ისე არ შემიძლია არ ვთქვა, რასაც ვფიქრობ, როცა სამინისტროდან დარგს გამოყოფენ მხოლოდ იმიტომ, რომ სავარძელი გამოუნახონ ერთ პიროვნებას, სასურველ შედეგს ვერ მივიღებთ. ისე, როგორც იცით, დღის წესრიგში დგას მინისტრთა ახალი კაბინეტის შექმნის საკითხი, ყველაფერია მოსალოდნელი. ყოველ შემთხვევაში, სავარაუდო ცვლილების შესახებ ჩვენი კომისიის მოსაზრება დროულად წარვადგინეთ მთავრობაში.

— თუ შეიძლება, გვითხარით, კონკრეტულად რა მოსაზრებებზეა ლაპარაკი?

— ტურიზმს ბევრი მხოლოდ უცხო ქვეყნებში მოგზაურობასთან აიგივებს, ივიწყებენ. მოსახლეობის მასობრივი გაჯანსაღების ისეთ საშუალებებს, როგორიცაა ქვეითი მოგზაურობა, ველო, საწყლოსნო, საცხენოსნო, სპელეო, სამთო ტურიზმი და ა. შ. ივიწყებენ ტურიზმის შემეცნებით და აღმზრდელობით მნიშვნელობას, მის ფუნქციას მშობელი ქვეყნის შესწავლასა და ახალგაზრდების პატრიოტულ აღზრდაში. აბსურდია, რომ ამბობენ, ტურიზმის კომიტეტი ტრანსპორტის სამინისტროსთან გავაერთიანოთო, რატომ, რა ნიშნით, ტურისტთა გადაყვანის მოტივით? — ამგვარი მიდგომით, შეიძლება ტურიზმის სხვა ნებისმიერ დარგთან გაერთიანების საკითხიც დაისვას. რაკი ტურიზმი თავისი ამოცანებით ყველაზე მეტად მაინც სპორტს ენათესავება, ჩვენ ვფიქრობთ, სპორტის ხელმძღვანელ ორგანოსთან შეიქმნას ტურიზმის მაკოორდინირებელი ცენტრი, ან თუ შეერთდება, — შეუერთდეს ეკონომიკის სამინისტროს, როგორც ეს, ვთქვათ, გერმანიაშია. რაც შეეხება სპორტის კომიტეტს, იგი აუცილებლად უნდა დარჩეს, თუნდაც დეპარტამენტის სახით.

— რომელ საკითხებს გამოყოფდით, რომელთა მოუგვარებლობა აფერხებს დარგის წინსვლას და კანონპროექტებში მათი დაძლევის გზები დაისახება თუ არა?

— შევჩერდები მთავარზე. ესაა სპორტული ბაზების შენახვისა და ექსპლუატაციის საკითხი. თუ არ გამოინახა მათთვის თუნდაც კომუნალური ხარჯების შემცირების შესაძლებლობა, საქმე ცუდად წავა. საერთოდ, სპორტში მოსაგვარებელია ისეთი საკითხები, როგორიცაა სახელმწიფო გადასახადები და შეღავათები, პროფესიონალ სპორტსმენთა სტატუსი, უცხოეთში ჩვენი სპორტსმენების ემიგრაციის პროცესი, ფედერაციების, მასობრივი სპორტის დაფინანსება და ა. შ. ტურიზმში კი შესამუშავებელია ისეთი კანონმდებლობა, რომელიც არ შეზღუდავს სახელმწიფო და კერძო სექტორის საქმიანობას, მათ ერთი მიზნის სამსახურში ჩააყენებს, გააქტიურებს უცხო და შიდა ტურიზმს, უმტკივნეულოდ მოაგვარებს პრივატიზაციას, საერთოდ, მტკიცე საფუძველს შეუქმნის ტურიზმის ინდუსტრიას რესპუბლიკაში.

ცხადია, ზემოაღნიშნული პრობლემების მხოლოდ დანახვა არ კმარა, მათ გადაჭრას კანონმაც უნდა შეუწყოს ხელი.

— წარსულში თქვენ სპორტსმენი იყავით, გამოდიოდით საქართველოს სახელით, მიწვეული იყავით ყოფილი სსრ კავშირის ნაკრებებში. როგორც პარლამენტარს და კომისიის თავმჯდომარეს, რაში გამოგადგათ სპორტსმენობა?

— სპორტი ცხოვრების თავისებური სკოლაა. პარლამენტში ადამიანები გარკვეულწილად ცხოვრების გაკვეთილგამოვლილნი მოდიან. პიროვნების, მისი ხასიათის ფორმირებაში, მერწმუნეთ, სპორტი ძალზე დიდ ფუნქციას ასრულებს, ბევრ სიკეთეს ასწავლის ადამიანს.

— დეპუტატი გახდით თუ არა, უმალვე დატოვეთ სოლიდური საწარმოს ხელმძღვანელის სავარძელი, რასაც ბევრი დღემდე ვერ შელევია, პარლამენტში იშვიათად გხედავთ მიკროფონთან, რა არის ეს ხასიათის სიმტკიცე თუ...

— საქმეს, რომელსაც ხელს მოჰკიდებ მთელი არსებით უნდა ემსახურო. სპორტზე მკითხეთ და გეტყვით: — სპორტშიც ასეა, სხვაგვარად სასურველ შედეგს ვერ მიაღწევ. რაკი პარლამენტის წევრი ვარ და კომისიის თავმჯდომარედაც ამირჩიეს, დიდი საქმე მაბარია... მიკროფონთან ვერ მხედავთ?.. ვერც მნახავთ, თუ ამას აუცილებლობა არ მოითხოვს. ნებისყოფა საკმაო მაქვს. ისე, ჩემს სათქმელს კომისიაში მუშაობისას ყოველთვის ვამბობ, ვფიქრობ, მთავარი მაინც კომისიებში მუშაობაა.

— რას უსურვებდით სპორტისა და ტურიზმის დარგის მრავალრიცხოვან მუშაკებს?

— ვუსურვებდი საქმისადმი თავდადებას, და სამაგალითო პატრიოტიზმს, ურომლისოდ არანაირი წარმატება არ მიიღწევა. დარგის ბედი მათ ხელთაა, ჩვენ ერთად უნდა დავძლიოთ სიძნელეები, გამარჯვებაც ერთად უნდა ვიზეიმოთ.

მარადი ანასაშვილი.

წერილები ფოთიდან

იმედის ნაპერწკალი



არ დაგიმალავთ: აწრიალებული გული მხოლოდ მაშინ დამიმშვიდდა, როცა ფოთში სურსათ-სანოვაგით დატვირთული ერთდროულად 7 გემი საკუთარი თვალით ვნახე...

უჭირდა ფოთსაც, განა არ უჭირდა. ათასგვარმა ქარტეხილმა მის თავზეც გადაიარა. მრავალმა შეიარაღებულმა ფორმირებამ დიდძალი გასატანი აქედანაც გაიტანა.

თქვენ წარმოიდგინეთ, ზღვაც კი დაიშრა. გასაცემი აღარ დარჩა. 50-55 წლის ხალხმა თავის ცხოვრებაში პირველად ნახა, რომ თოლიებმა პორტი დატოვეს და ქალაქს მოედვნენ. სასოწარკვეთილები წიოდნენ, შველას ითხოვდნენ.

ახლა, ღმერთსა მადლი, ეს შვენიერი ფრინველები ნავსადგურს დაუბრუნდნენ, მოსუქდნენ, მოლამაზდნენ და ძველებურად ისევ სანაპიროს მოეფინნენ.

ჩვენი რედაქციის წინ აღარა ზის ის პატარა ბიჭი, „დარი-დურის" რომ მღეროდა და ჩახლეჩილი ხმით ფულს შოულობდა. მისი ადგილი მეორემ დაიკავა. იგი „ნათია-ნათიას" გაჰკივის და კვნესის ფასად კუპონებს ითვლის.

აბა, რა საამაყო და სატრაბახო ეს არის, მაგრამ... ფოთში მათხოვარს ვერ ნახავთ, — ვერც დიდსა და ვერც პატარას. ქალაქის მერიამ ყველაფერი გააკეთა, რათა ფოთელი, თავჩაღუნული და ხელგაწვდილი, ქუჩაში არ გასულიყო.

აქ სპეციალური კომისია შექმნეს, რომელმაც თავისებური აღწერა გააკეთა. დაადგინეს, დააზუსტეს ის ხალხი, რომელსაც ნამდვილად უჭირდა, — პენსიონერები, მარტოხელები, უმუშევრები, მრავალშვილიანები, ინვალიდები... ასეთი სულ 2.300 კაცი აღმოჩნდა...

შიმშილის ზღვარზე იდგნენ კი არა, ლამის სულსა ლაფავდნენ. საჭირო იყო უსწრაფესი დახმარება, თორემ კარს იყო მომდგარი სულიერი აფეთქება და, ვინ იცის, საკუთარი თავმოყვარეობის ლაფში ამოსვრაც...

—ჩვენ შევქმენით ნიკო ნიკოლაძის ფონდი, — ამბობს ფოთის მერი რომან შელია, — იგი ჩვენი გადარჩენისა და აღორძინების სიმბოლოდ იქცა. ქალაქის სახელმწიფო თუ კომერციულმა სტრუქტურებმა, რომლებიც ამ ფონდის წევრები არიან, შეძლებისდაგვარად ჩამოგვირიცხეს თანხები. ეს თანხები ისევ მოსახლეობას დავუბრუნეთ. ამ 2.300 გაჭირვებულს სურსათითა და ფულით დავეხმარეთ.

თვით ფოთის კვარტალური ბიუჯეტი 250 მილიონი მანეთია. 5 თვის მანძილზე ნიკო ნიკოლაძის ფონდმა უქონელ ფოთელებზე 300 მილიონი მანეთი გასცა. ხალხი მოსულიერდა, გული გაიმაგრა, თვალი დაიწმინდა.

არავის ეგონოს, რომ ნიკო ნიკოლაძის ფონდი მარტო შემოწირულობებით, გადარიცხული ასიგნაციებით სულდგმულობს. კი, ოპონენტები საწარმოთა ფინანსური გაჭირვების ერთ-ერთ მიზეზად ამასაც ასახელებენ, მაგრამ ასე არ არის. ზოგიერთი „მცირე ბოროტება" ამ არეულობის ჟამს შეიძლება სასიკეთოდაც ჩაითვალოს, რათა გაჭირვებული გემი გადარჩეს, ნაპირს გავიდეს.

ფონდის პრეზიდენტი თვით რომან შელიაა და რა არის იმაში ცუდი, რომ იგი თავის ავტორიტეტს იყენებს თანხების შესაგროვებლადაც და ფონდის წევრ-ორგანიზაციათა გასაფართოებლადაც? ფოთი ნავსადგურია. მილეთის ხალხი მიდის და მოდის, მილეთის საქონელი მიაქვს და მოაქვს. გემიც სჭირდებათ და ქალაქიც.

ჰოდა, ეხმარებიან ყველას, ხელს უწყობენ ტვირთის დაცვაში, გემის გამონახვაში, დაცლა-დატვირთვაში, შენახვა-დაბინავებაში. სამაგიეროდ, ისევ ფოთელებისათვის ნატურით, ხელმისაწვდომ ფასებში ატოვებინებენ ხორბალსაც, კარაქსაც, ხორცსაც, შაქარსაც... აქაურები ძალზე იაფად ყიდულობენ მაღაზიებში საკვებ პროდუქტებს.

ახლახან, მაგალითად, ჩინურ გემს უნდა გაეტანა ჭიათურის მარგანეცი. პროცესი გაჭიანურდა, გემი შეყოვნდა. მან ფოთში ტვირთიც შემოიტანა. ფოთელებმა ამ ტვირთს უპატრონეს. სამაგიეროდ „დაიტოვეს" 40 ტონა თევზის კონსერვი, 40 ტონა ხორცის კონსერვი, 60 ტონა ზეთი... რა, ცუდი ნადავლია?

ასეთი ნადავლით ფოთელები ზოგჯერ „მეორე ქურდღელსაც" იჭერენ. ხანდახან მესამესაც კი. აგერ, 60 ტონა შაქარი ჰქონდათ მარაგში. წამოიღეს ახალქალაქში და ხორცზე გადაცვალეს. რაჭან ხორცი იშოვეს, ხორცკომბინატი ამუშავეს, 300 კაცი დაასაქმეს, ძეხვი და სოსისი დაამზადეს და ახლა მაღაზიებში კილოგრამს 4.000 კუპონად ჰყიდიან.

შეიძლება თბილისელებმა არც დაიჯერონ და, ფოთში 100 ტონა კარტოფილიც შემოიტანეს და კილოგრამი 1.000 კუპონად გაყიდეს. საკუთარი სეინერებით დაჭერილი წვრილი თევზი კი მხოლოდ 800 კუპონად გაასაღეს.

დღეს ფოთში არავის ზღუდავენ: ვისაც სურს, რაც სურს — ცხადია, კანონის ფარგლებში — ის აკეთოს, ოღონდ მოსახლეობას დაეხმაროს. ფოთელები თავიანთთან იწვევენ ჭეშმარიტ გულშემატკივრებს, რომელთაც ციბრუტივით ტრიალი შეუძლიათ სადღეისო მოთხოვნების, საბაზრო ეკონომიკის ნორმების შესაბამისად.

დაე, ჩამოვიდნენ, იმხელა ქალაქებში უსაქმოდ რას სხედანო, ყველას თავის ადგილს მივუჩენთო, თვითონაც წელში გაიმართებიან და ჩვენც გვესარგებლებიანო. ჩემი აზრით, ეს ძალზე მაცდუნებელი წინადადებაა.

ამ ბოლო ხანს ფოთში 9-10 საწარმო აამუშავეს, მაგრამ გასაკეთებელი ჯერ კიდევ ბევრია. აღსადგენია დანგრეული კავშირები, შემოსაზიდია ნედლეული, დასასაქმებელია მუშახელი. უდიდესი რეზერვებია ნავსადგურში, რომელიც დღეს სანახევროდაც ვერ მუშაობს.

პერსპექტივა? ევროპა-აზიის სატრანსპორტო დერეფნის შექმნა! ფოთს ზღვა აქვს, ეს ზღვა უძირო და უკიდეგანო სიკეთითაა, რომელიც ჩვენვე უნდა მოვიპოვოთ. თუმცა, ეს ხვალ, ზეგ, დღეს კი...

დღეს საჭიროა მშვიდობის დამყარება, კატასტროფის აცილება, შიმშილის უკუგდება, ხელების დაკაპიწება. შუაგულ ფოთში, ნარიონალზე მე ვნახე საბოსტნე ნაკვეთები. გამოსულა ხალხი, მიწა დაუმუშავებია, ჭირნახული მოუყვანია — პომიდორი, კომბოსტო, ჭარხალი, ლობიო, ბადრიჯანი... სიმინდის ყანებში ცხენიანი კაცი დაიმალება.

1000-მდე ოჯახს გამოეყო მიწის ნაკვეთები ქალაქის გარეუბანში. თუმცა ეს ზღვაში წვეთია. ადრე ფოთს ჰქონდა თავისი სოფლები — ჭალადიდი, ყულევი, პატარა ფოთი. წაართვეს. არის ახლა დავა, მაგრამ ვეღარ იბრუნებენ. არადა, აღარც ქალაქი ვარგა უსოფლოდ და აღარც სოფელი — უქალაქოდ...

მთელი ღამე კოკისპირულად წვიმდა, დილით ბურუსი გაიფანტა, მზე ამოცურდა. ბუნების აღწერა არ გეგონოთ. ზღვისპირა ქალაქში ასე ხშირად იცის და მაინც, გარიჟრაჟის ეს იდილია, მე, იქ სტუმრად ჩასულს, იმედის დიდ ნაპერწკალად მომეჩვენა.

ეს ნაპერწკალი უფრო მეტად გაღვივდა მაშინ, როდესაც 50-მდე უფროსკლასელი ფოთიდან სასწავლებლად ამერიკის შეერთებულ შტატებში უფასოდ წავიდა.

ფოთელები ამბობენ, ეს მთელი საქართველოს ქალაქია და მისი აღორძინება აქედან უნდა დაიწყოსო. ღმერთმა ქნას, ღმერთმა ქნას, აქაური ნავსადგური ხვავითა და ბარაქით გაივსოს, რათა თოლიებმა სასოწარკვეთილი წივილით ქუჩები აღარ გააყრუონ!

[illegible] ბულიაშვილი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვედრება

შვილმოკლულ დედებს, ქმარმოკლულ ქვრივებს

„... აწ მიწა რად არა ძღება დამდნარის გულის წვენითა...
... ვის ამწყალობნებ, ალუდავ, ამა კურატით შავითა...
... გაურჯულებულს არჯულებ შენ ის არ შაგიხდებისა...
... ჩვენ ვიტყვით, კაცნი ჩვენა ვართ, მარტო ჩვენ გვზდიან დედანი,
ჩვენა ვსცხონდებით, სხვას ყველას კუპრში მიელის კბენანი...
... იტირე? მადლი ბიჭნია, მე რა გამზე ვარ მაგისა,
დიაცს მუდამაც უხდება ტლოვა ვაჟკაცის კარგისა"...

ვაჟა-ფშაველა.

საბედნიეროდ, ბრძოლები შეწყდა აფხაზეთში. საუბედუროდ, ომი ჯერ არ დამთავრებულა.

ომის ლოგიკა — დანგრეული ქალაქები და სოფლები. მოშლილი ეკონომიკა, შიმშილი და სიღატაკე. დეპრესიაში ჩავარდნილი ადამიანები;

ომის ლოგიკა — ძარცვა, ყაჩაღობა, მაროდიორობა, განუკითხაობა;

ომის ლოგიკა — გამბრიყვებელნი მყუდრო კაბინეტებში ადგენენ კოლექტიური ხოცვა-ჟლეტის პროექტებს, გაბრიყვებულნი ბრძოლის ველზე იხოცებიან;

ომის ლოგიკა — შვილმოკლულ დედას კი დაეძინება, განსაცდელში მყოფნისას, არაო.

ომის ლოგიკა — იმის ნაცვლად, რომ შვილმა დაკრძალოს მშობელი, მშობლები ასაფლავებენ თავიანთ შვილებს. ზოგჯერ კი საფლავსაც ვერ პოულობენ;

ომის ლოგიკა — როგორც წესი, ორივე მხრიდან ომს ეწირებიან მაღალი ღირსების, თავმომწონე, რჩეული ვაჟკაცები;

ომის ლოგიკა — კონფლიქტში მონაწილე ორივე მხარის მებრძოლებს ღრმად უნერგავენ, რომ სწორედ ისინი არიან მართლები, სამშობლოსათვის თავდადებული მამულიშვილნი.

ნერგეი შამბა: მე ვიცი, რისთვის ომობენ აფხაზები, რისთვის ომობენ ქართველები, ქართველებს ჰკითხეთ!

გია ყარყარაშვილი: მე ვიცი, რისთვის ომობენ ქართველები. რისთვის ომობენ აფხაზები, აფხაზებს ჰკითხეთ!

იმანუილ კანტი: ტრაგედია მაშინ კი არ ხდება, როცა ერთი მხარე მართალია, მეორე — მტყუანი, ტრაგედია ხდება მაშინ, როცა ორივე მხარე... მართალია!

ღმერთის განკარგულებით, ქართველებს და აფხაზებს გვერდი-გვერდ ცხოვრება მოგვესაჯა. უბრალო მოკვდავთ არ ძალუძთ ამ განაჩენში კორექტივების შეტანა.

მიწიერ ამბიციებს, სავარძლების შენარჩუნებისა და ახალი გადანაწილების მოტრფიალეთ ისღა ძალუძთ, თავიანთ ბინძურ ზრახვებს შესწირონ არა მარტო ის თაობა, რომელიც უკვე დაბადებულია, არამედ ისიც, გინდ აწი უნდა დაიბადოს.

ბატონმა ტარას შამბამ „ლიტერატურნაია გაზეტაში" გამოქვეყნებულ ერთ პუბლიკაციაში ბრძანა: ამ ომში ორმოცჯერ მეტი ქართველი რომ დაიღუპოს, ვიდრე აფხაზი, აფხაზები მაინც უფრო მეტად დაზარალდებიანო.

დღეს ყველა მოაზროვნე აფხაზმა და ქართველმა იცის — ერთი კი არა ხუთასი წელი რომ გაგრძელდეს ეს ომი, ზავის პირობებით ის მდგომარეობა აღსდგება, რომელიც ომის დაწყების წინა დღეს იყო.

მაშ რატომღა ვროკავთ მოჯადოებულ წრეში, რისთვის მივდივართ თვითგანადგურებამდე, რისთვის ვაკლეტინებთ ერთმანეთს ჯიშიან ბიჭებს?

იურიდიული გამოსავალი იმ ჩიხიდან, რომელშიც მავანთა თავქარიანობით მოვხვდით, თითქოს არსებობს — საერთაშორისო არბიტრი, საერთაშორისო სამართლის ნორმები. ისიც სათქმელია, რაც უნდა ობიექტური იყოს ამ არბიტრის მიერ გამოტანილი ვერდიქტი, საკუთარ სიმართლეში დარწმუნებული ერთ-ერთი მხარე მაინც გულნაკლული დარჩება. და თუ კონფლიქტი პოლიტიკურ ასპექტში ავად თუ კარგად მაინც მოგვარდება, ძალზე გაჭირდება ზნეობრივი ასპექტის დაძლევა, გულის მობრუნება ერთმანეთის მიმართ.

ჩვენში ათასი მითქმა-მოთქმაა აფხაზური მხარის მხეცობასა და სისასტიკეზე. დარწმუნებული ვარ, აფხაზებში არანაკლები მითქმა-მოთქმა იქნება ქართველთა მხეცობასა და სისასტიკეზე.

რა დასამალია, ბევრი რამ ამ მითქმა-მოთქმაში სიმართლეა, რადგან ესეც — ომის ლოგიკაა.

ცეცხლი, მართალია, შეწყდა, მაგრამ ახლა ყველაზე მთავარი თვით ომის დამარცხებაა, ადრინდელი სამეზობლოების, სამეგობროების, ერთი სიტყვით, ადამიანურ ურთიერთობათა აღდგენაა!

ის, რაც ზემოთ ვთქვი, მხოლოდ აბსტრაქტული ფონია იმისა, რაც ქვემოთ უნდა ვთქვა.

კარგა ხანია, არ მიქეიფია აფხაზებთან, ამიტომ ვერ ვიტყვი, როგორაა იქ საქმე. ჩვენთან კი ასეა — ორი კაციც რომ მიუჯდეს სუფრას, პირველ სადღეგრძელოდ — მშვიდობას გაუმარჯოსო — იტყვიან. მშვიდობა წესია ჩვენი ცხოვრებისა, უკანასკნელ ხანს ეშმაკი შეგვიჩნდა და ამ წესს ვუღალატეთ.

ისიც გამიგია, ქართველები „გიჟები" არიან, ძეგლებს უდგამენ დედას, მშვიდობას, მუზას, ენას თუ ლექსსო.

• • •

თუ თბილისში საავტომობილო გზით შემობრძანდებით, თქვენ ნახავთ, როგორ დაუდგეს ქართველებმა ძეგლი ერთადერთ ლექსს, რომელსაც „ვეფხი და მოყმე" ჰქვია.

არ ვიცი, კიდევ რა სიმდიდრე გაგვაჩნია, მაგრამ ერთი რამ ცხადია — ქართულმა ხალხურმა პოეზიამ მსოფლიოს აჩუქა ისეთი მარგალიტი, რომლის მსგავსი არც ერთი ხალხის ფოლკლორში არ მოიძებნება.

ყველა ზრდასრულმა ქართველმა იცის ამ ლექსის შინაარსი, მაგრამ მე გარკვეული მოსაზრებებით, მოკლედ შეგახსენებთ იმ ამბავს, თუ როგორ წამოუფრინდა მოყმეს შუაღამის ტყეში გაავებული ვეფხვი, როგორ ეკვეთნენ ერთმანეთს, როგორ გაეჯიბრნენ ვაჟკაცობაში: არც ვეფხი იყო ჯაბანი, არც მოყმე შახვდა ჰქვიანი, იმათ დახოცეს ერთურთი, არ დარჩეს სირცხვილიანი.

და აი, ამბავი ჩამოუტანეს შვილმკვდარ დედას, რომელიც იმითღა ინუგეშებდა თავს, რომ ერთ შვილ ხომ მაინც გაზარდა ვეფხვთან მამმარია. ძილღვიძილშიც თავისი ერთადერთი შვილი ელანდებოდა სასოწარკვეთილ დედას.

მაგრამ...

„...ხან იფიქრებდა, უდიდოდ
გაზრდა ვინა თქვა შვილისა,
იქნება, ვეფხის დედაი
ჩემზედ მწარედა სტირისა.
წავიდე, მეც იქ მივიდე,
სამძიმარ ვუთხრა ჭირისა,
ისიც მიამბობს ამბებსა,
მეც ვუთხრა ჩემი შვილისა"...

ვიცი, მიმიხვდით რისი თქმაც მინდა: თუ „ვეფხი და მოყმე" მხოლოდ პოეტური მეტაფორაა, ხომ არ დადგა დრო, მეტაფორა რეალობად ვაქციოთ. ამით ჩვენ არა მარტო ომს, თვით სიკვდილსაც დავამარცხებდით.

ერთი შეხედვით, სითავხედემდე მისული კადნიერებაა, აფხაზეთში დაღუპული შვილის დედას უთხრა — ჩადი აფხაზეთში და შენს ყოფილ მოწინააღმდეგეს; შენსავით შვილდაღუპულ დედას მიუსამძიმრე, ნუგეშინი უთხარ, ხოლო მისი ვაჟიშვილის საფლავს ცრემლი დააწვეთეო.

ძნელია, წარმოუდგენელია. შეუძლებელია.

მაშ, რა მაძლევს სითამამეს ასეთი „მკრეხელური" იდეა წამოვაყენო?

მხოლოდ უზარმაზარი სურვილი — მთელ მსოფლიოს ვაჩვენოთ ქართველი და აფხაზი დედების ჭეშმარიტი ბუნება — ღვთისნიერი მიმტევებლობით, სინაზით და სიყვარულით სავსე გულები.

რისი იმედი მაქვს?

არა იმისი, რომ ათასი შვილმოკლული დედიდან ცხრაასოთხმოცდათხუთმეტი ხვალვე გამოთქვამს აფხაზეთში გამგზავრების სურვილს, არა, მთელ საქართველოში სამი-ოთხი დედაც რომ აღმოჩნდეს, ვისაც ძალუძს ამაღლდეს საკუთარ უბედურებაზე, ვისაც შეუძლია შეიგრძნოს, რომ თვით ომია მისი ბედნიერების გამანადგურებელი — ესეც საკმარისია.

ომი ვენდეტა არ არის, როცა კონკრეტული პიროვნება ებრძვის კონკრეტულ პიროვნებას. ამ კონფლიქტში ქართველს არ მოუკლავს აფხაზი და აფხაზს — ქართველი. [illegible] და ძმები ერთნაირად ჩააცვა ქართველსაც და აფხაზსაც.

ისეც რომ ჩავთვალოთ, თითქოს ამ ომში დაღუპული ყველა მეომარი ჭეშმარიტი რაინდი იყო, ყოველი მათგანი გმირი მაინც ვერ იქნებოდა. გმირობა შესაძლებლის ზღვარს იქითაა.

გმირის მთავარი სიმართლე — მის უმართებულო, ულოგიკო საქციელშია. იგი რომელიღაც ვითარებაში არ იქცევა ისე, როგორც მოიქცეოდა უმრავლესობა.

შვილმოკლული დედის გმირობაც მის ულოგიკო საქციელშია. იგი რომელიღაც ვითარებაში დგამს ისეთ ნაბიჯს, რომელსაც უმრავლესობა არ გადადგამდა.

შეთანხმებით, ხელშეკრულებით, ბრძანებულებით, შესაძლოა, ბრძოლა შეწყვიტო, მაგრამ ომს და სიძულვილს ვერ მოერევი. ურთიერთნდობის აღსადგენად საჭიროა კიდევ რაღაც...

ომის დამარცხება ახლა გმირობას მოითხოვს. და ამ გმირობისაკენ პირველი ნაბიჯი დაე, ქართველმა დედამ გადადგას.

ამბობენ, დედის ჩაწვეთებულ ცრემლზე ია ამოდისო.

თუ ჩვენ მთლად არ გადაგვივიწყნია, რომ ძეხორციელნი ვართ, თუ ჩვენში კვლავაც არიან მარად ნეტარნი დედანი, რომელთაც ეყოფათ მხნეობა აფხაზეთს გაემგზავრონ და შვილმოკლულ დედებს მიუსამძიმრონ, აფხაზ ვაჟკაცთა საფლავებს თბილი ცრემლი დააწვეთონ, მაშინ იები, რომლებიც ამ საფლავებზე ამოვა, მათივე ვაჟკაცების ხსოვნისათვის დანთებული სანთლები იქნება.

პეტმარ აბაიშვილი.

მინაწერი: თუ ღმერთი მთლად არ არის ჩვენგან ზურგშებრუნებული, თუ ამ რიტუალს აღსრულება უწერია, მისი ორგანიზაციული მხარის მოგვარება ხარემ ბატონ ხანდრო კავსაძეს ვთხოვოთ — მან უზარმაზარი ენერგია შეახარჯა ბრძოლის შეწყვეტას. იგი შეძლებს ომის ღირსეულად დამთავრებასაც.

აფხაზეთში კონფლიქტის სრული მასშტაბით მოწესრიგების უზრუნველყოფის მიზნით

აფხაზეთში კონფლიქტის მოწესრიგების ორგანიზაციულ ღონისძიებათა შესახებ საქართველოს სახელმწიფოს მეთაურის 1993 წლის 2 აგვისტოს ბრძანებულების დამატებით გამოცემულია სახელმწიფოს მეთაურის კიდევ ერთი სპეციალური ბრძანებულება ამ კონფლიქტის სრული მასშტაბით მოწესრიგების უზრუნველყოფის კომისიის შექმნის თაობაზე. ამ კომისიის მიზანი, რომელშიც შევიდნენ საქართველოს პარლამენტის წევრები, შესაბამისი სამინისტროებისა და უწყებების ხელმძღვანელები, სამხედრო სარდლობისა და ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოების წარმომადგენლები, ცნობილი მეცნიერები და კულტურის მოღვაწენი, — ის არის, რომ განისაზღვროს ავტონომიური რესპუბლიკის სტატუსი საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის ფარგლებში, გაიმიჯნოს ხელისუფლების ცენტრალური და ავტონომიური ორგანოების ფუნქციები, შეიქმნას ძირითადი დებულებანი მმართველობის ადგილობრივი ორგანოების შესახებ, დაზუსტდეს სხვა პოლიტიკური და სამართლებრივი საკითხები.

ამ კომისიის საქმიანობის ორგანიზაციულ-ტექნიკური უზრუნველყოფა დაევალა საქართველოს სახელმწიფოს მეთაურის პირად და სრულუფლებიან წარმომადგენელს ალექსანდრე კავსაძეს. იგი ასევე სათავეში ჩაუდგება ამ ბრძანებულების თანახმად შექმნილ აფხაზეთში კონფლიქტის სრული მასშტაბით მოწესრიგების ინფორმაციულ უზრუნველყოფის ჯგუფს.

„ვიმოქმედოთ საქართველოს საკეთილდღეოდ"

ბათუმში იმყოფებოდნენ საქართველოს პარლამენტის წევრი ჯაბა იოსელიანი და რესპუბლიკის შინაგან საქმეთა მინისტრი თეიმურაზ ხაჩიშვილი. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარესთან ასლან აბაშიძესთან შეხვედრის შემდეგ ჯაბა იოსელიანმა ჟურნალისტებს უთხრა, რომ მისი მიზანია გამონახოს სამეგრელოში კონფლიქტის მშვიდობიანი მოწესრიგების გზები. აჭარაში კვლავ სტაბილური ვითარებაა, და ამაში დამსახურება მიუძღვის მის ლიდერს ასლან აბაშიძეს, რომელსაც მინდობილი აქვს სამშვიდობო საშუამავლო მისია კონფლიქტის მონაწილე მხარეთა შორის.

შეეხო რა აფხაზეთის პრობლემას, ჯაბა იოსელიანმა აღნიშნა, რომ ცალმხრივი კომპრომისებით ეს ვერ გადაწყდება. საჭიროა ორივე მხარის ურთიერთგაგება.

— კონფლიქტი სამეგრელოში შეიძლება მოწესრიგდეს მხოლოდ მშვიდობიანი გზით, და ამისათვის ძალ-ღონეს არ დავიშურებთ, — ხაზი გაუსვა აჭარის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარემ ასლან აბაშიძემ. — მზად ვართ დიალოგისათვის და ვიმოქმედებთ ერთად საქართველოს საკეთილდღეოდ.

ქართული სათვისტომოს წარმომადგენლებმა „მრგვალი მაგიდა" მიატოვეს

მოსკოვი, 26 აგვისტო. (იტარ-ტას-საქინფორმის კორ.) „აფხაზეთი: მომავლის ხედვით, მშვიდობა უომოდ" — ასეთი სახელწოდებით გაიმართა დღეს მოსკოვში „მრგვალი მაგიდა", რომელშიც მონაწილეობდნენ აფხაზეთის, ჩრდილოეთ კავკასიის, რუსეთისა და საქართველოს საზოგადო და პოლიტიკური მოღვაწენი, მეცნიერები, პოლიტოლოგები, ჟურნალისტები. იგი მოეწყო მოსკოვის აფხაზური კულტურის საზოგადოებისა და მშვიდობისა და თანხმობის ფედერაციის ინიციატივით.

დისკუსიას ტონი მისცა აფხაზეთის რესპუბლიკის სრულუფლებიანმა წარმომადგენელმა მოსკოვში იგორ ახბამ, რომელმაც მთელი პასუხისმგებლობა აფხაზეთში გაჩაღებული ომისათვის დააკისრა „საქართველოს ხელმძღვანელობას შევარდნაძის მეთაურობით".

დისკუსიის საერთო ტონალობის წინააღმდეგ პროტესტის ნიშნად საქართველოს მოსკოვის სათვისტომოს წარმომადგენლებმა მიატოვეს „მრგვალი მაგიდის" სხდომა.

ადამიანის საკეთილდღეოდ

სოციალური დაზღვევა ახალ საფუძველზე

ორი წელიწადია, რაც არსებობს დამოუკიდებელი სახელმწიფო სოციალური დაზღვევის სისტემა (მანამდე ის პროფკავშირებს ეკუთვნოდა), რომელსაც მართავს რესპუბლიკის სოცუზრუნველყოფისა და სამედიცინო დაზღვევის ერთიანი სახელმწიფო ფონდი. ამას წინათ მინისტრთა კაბინეტმა დაამტკიცა „დროებითი დებულება საქართველოს რესპუბლიკის სოციალური დაზღვევის შესახებ", რომლის კომენტარი ვთხოვეთ ერთიანი სახელმწიფო ფონდის გენერალურ დირექტორს ოთარ ხუფენიას.

— ზოგადად როგორ შეაფასებდით ამ დროებითი დებულების მნიშვნელობას?

— დღეს, როცა კანონმდებლობის ვაკუუმია, არ არსებობს ერთიანი, მტკიცედ ჩამოყალიბებული სახელმწიფოებრივი სამართლებრივი სისტემა, როცა ჯერ კიდევ მოქმედებს საქართველოსა და ყოფილი სსრ კავშირის ნორმატიული აქტები, ამ მხრივ კიდევ უფრო დიდი დეფიციტია სახელმწიფო სოციალური დაზღვევის სფეროში. რესპუბლიკას არ გააჩნია არც სპეციალური კანონი და არც მისი ქვემდებარე აქტები. პარადოქსია, რომ ამ დარგში, ბოლო ხანებამდე, ხელმძღვანელობდნენ 1933 წლიდან არსებული ნორმებით. იგრძნობოდა მარეგულირებელი სამართლებრივი დოკუმენტების მწვავე ნაკლებობა. მით უმეტეს, რომ ცხოვრების კარნახით დღის უკვე დაგროვდა მრავალი სიახლე და საჭიროა მათი ფიქსირება, სახელმწიფო წესით განმტკიცება.

ამგვარ ვითარებაში პოზიტიურ მოვლენად აღიქმება მთავრობის მიერ სახელმწიფო სოციალური დაზღვევის სფეროს მოწესრიგებისაკენ გადადგმული ნაბიჯი. იგი დაარეგულირებს ურთიერთობებს, როგორც სახელმწიფო ორგანოების, ისე საზოგადოებრივი ორგანიზაციების, ვთქვათ, ჯანდაცვის, სოციალური უზრუნველყოფის, პროფკავშირებისა და სხვათა მიმართებებში.

ამ დოკუმენტს პოლიტიკური მნიშვნელობაც აქვს, მასში ნათლად არის გაცხადებული: საქართველოში უნდა შეიქმნას დასავლური ყაიდის სახელმწიფო სოციალური დაზღვევის სისტემა. ამით უარი ითქვა ადამიანებზე „მუდმივი ზრუნვის" საბჭოურ მოდელზე.

— რით განსხვავდება ახალი დროებითი დებულება მანამდე არსებული სახელმწიფო სოციალური დაზღვევის სისტემისაგან?

— დავიწყოთ იმით, რომ არ არსებობდა ფორმულა, რომელიც პასუხს გასცემდა კითხვას, რა არის თვით სახელმწიფო სოციალური დაზღვევა? ახალი დებულების პირველივე მუხლში ახსნილია, რომ იგი არის მოქალაქეთა დაზღვევის მრავალ სახეობათა შორის უმნიშვნელოვანესი ფორმა, რომელიც მოიცავს შრომის უნარის დაკარგვის, ბავშვის დაბადებისა და მოვლის, სამედიცინო რეაბილიტაციისა და პროფილაქტიკის, დღეობის, აგრეთვე კანონმდებლობით დადგენილი სხვა, ეგრეთ წოდებულ სადაზღვევო შემთხვევებს, რომელთა საფუძველზეც იქმნება მოსახლეობის სოციალური დაზღვევის სისტემა.

დებულება ითვალისწინებს ახალ ცნებებს, ტერმინებს, სხვა განმარტებებსა და გამოთქმებს, რომლებიც უკვე დიდი ხანია დამკვიდრებულია ცივილიზებული სამყაროს ამ სფეროში. განუმარტავი იყო ტერმინები „დაზღვეული", „დამზღვევი", „მზღვეველი" და „სადაზღვევო სტაჟი", რომელიც საერთოდ არ არსებობდა.

1991 წლის მარტიდან სახელმწიფო სოციალური დაზღვევა უკვე გამოვიდა პროფკავშირების განკარგვის სფეროდან. ამ ცვლილებების მიუხედავად, ზოგს მაინც ჰგონია, თითქოს, დროებითი შრომისუუნარობის ფურცლებს, სადეკრეტო შვებულებებს, პენსიებს, ბავშვთა დახმარებებსა და სხვა სადაზღვევო შემთხვევებს კვლავ პროფკავშირები უნაზღაურებენ. რაც, რა თქმა უნდა, არასწორია.

— რამდენადაც ცნობილია, „პროფკავშირების ტყვეობიდან" სახელმწიფო სოციალური დაზღვევის დახსნის იდეა არ ახალია, ძველია და მას თვით საქართველოს პროფკავშირებიც უჭერენ მხარს.

— საკამათო არ არის, რომ დაზღვევის ეს სისტემა, დროებითი დებულების მიხედვით, ემყარება სამართლიანობის, დემოკრატიულობის, გადახდისუნარიანობისა და სხვა მთავარ მომენტებს. მათი რეალიზების ერთადერთი გარანტორი, რეალური და პრაქტიკული გარანტი შეიძლება იყოს არა რომელიმე ორგანიზაცია, რამდენად მრავალრიცხოვანიც უნდა იყოს იგი, არამედ სახელმწიფო. ამ მოსაზრებას იზიარებენ პროფკავშირების ლიდერებიც.

— ვინ ითვლება დაზღვეულად?

— პირი, რომელიც ანაზღაურებად შრომით საქმიანობას ეწევა, მუშაობის დაწყების პირველივე დღიდან სავალდებულო სოციალური დაზღვევას ექვემდებარება (დამზღვევი გახლავთ ყველა დამსაქმებელი), იურიდიული პირი, რომელიც სოციალურ დაზღვევას სავალდებულო სადაზღვევო შენატანის გადახდის გზით ახორციელებს. სულ ერთია, რომელი უწყებრივი დაქვემდებარების, მეურნეობრიობის, საკუთრებისა ორგანიზაციულ-სამართლებრივ ფორმასაც უნდა ეკუთვნოდეს.

რაც შეეხება მზღვეველს (სხვათა შორის, საბაზრო სტრუქტურა), ამ როლში გამოდის სახელმწიფო სისტემა, რომელსაც ეკისრება რესპუბლიკის ტერიტორიაზე სოციალური დაზღვევის ორგანიზაცია და მართვა. და რაც ყველაზე მთავარი და არსებითია, სოციალური დაზღვევის გარანტია სახელმწიფო, სოციალური უზრუნველყოფისა და სამედიცინო დაზღვევის ერთიანი სახელმწიფო ფონდის სახით.

— ყველაზე მეტად მოსახლეობას აინტერესებს კონკრეტულად რა სადაზღვევო გარანტიებს უნდა ელოდეს თითოეული მათგანი.

— ასე ვთქვათ, „სადაზღვევო მენიუ" საკმაოდ მრავალფეროვანია, სოცდაზღვევის ბიუჯეტიდან გაიცემა:

შრომითი პენსიები ასაკის, ინვალიდობის, მარჩენალის დაკარგვისა და ნამსახურობისთვის;

დახმარება დროებითი შრომისუუნარობის, ორსულობისა და მშობიარობის გამო, ბავშვის დაბადებისა და მოვლისათვის, დაკრძალვისთვის;

დახმარება დაზღვეულთა და მათი ოჯახის წევრთა სამკურნალო, სარეაბილიტაციო და პროფილაქტიკური, მათ შორის, სანატორიულ-საკურორტო და ბავშვთა გაჯანსაღების ღონისძიებათა დასაფინანსებლად. კონკრეტულ შემთხვევებში დახმარებებზე უფრო დაწვრილებით ლაპარაკია დებულების მესამე თავში „დახმარებანი სოციალური დაზღვევის ხაზით", კერძოდ, მუხლებში: დროებითი შრომისუუნარობის გამო დახმარების უფლება; ამ დახმარების გაცემის ვადები, საკომპენსაციო ხელფასით დახმარების ოდენობა, დახმარება დროებითი შრომისუუნარობის გამო, ოჯახის ავადმყოფი წევრის მოვლისთვის; დახმარება ორსულობისა და მშობიარობის გამო, ბავშვიანი ოჯახებისათვის და ა. შ. ერთი სიტყვით, სისტემა მოიცავს ადამიანის დაზღვევას მისი დაბადებიდან გარდაცვალებამდე.

— ამას ხომ დაფინანსება სჭირდება?

— რა თქმა უნდა. დაფინანსება თუმცა შვიდი სახის შენატანიდან და შემოსავლიდან ხორციელდება, მაგრამ აქედან ყველაზე ძირითადი, მუდმივი და მყარი წყაროა დამსაქმებლის (ადრე დამქირავებელს უწოდებდნენ) სავალდებულო სახელმწიფო სოციალური დაზღვევის შენატანი (37 პროცენტი), დასაქმებულის (დაქირავებულის) ასეთივე შენატანი (1 პროცენტი), ინდივიდუალური (საკუთარი საწარმოს მფლობელის, ინდივიდუალური ფორმით [illegible] დასაქმებულის, მათ შორის გლეხურ მეურნეობაში) და სხვა კატეგორიის მუშაკთა სადაზღვევო შენატანი და სახელმწიფო დოტაცია. ამგვარად, ერთიანი სახელმწიფო ფონდი არ ფინანსდება სახელმწიფო ბიუჯეტიდან, არამედ საჭიროების შემთხვევებში იღებს მისგან დოტაციებს. ამ ეტაპზე კი დოტაციის საჭიროება ქვეყნის ეკონომიკაში არსებული მდგომარეობით არის განპირობებული.

— რამდენადაც ვიცი, ტარიფების თაობაზე ცალკე დამსაქმებლები ჩივიან, სახელმწიფო ტყავს გვაძრობსო (ოცდაჩვიდმეტი პროცენტი), ცალკე — პროფკავშირები, დაქირავებული არაფერს არ უნდა იხდიდესო.

— მარტო დამქირავებლები კი არა, ჩვენ ყველა ვიძრობთ ტყავს, ოღონდ სოციალურად ყველაზე დაუცველი ფენა როგორმე შევმოსოთ და გამოვკვებოთ. ვილაპარაკოთ ციფრების ენით: 5,5-მილიონიან რესპუბლიკაში 1,3 მილიონი პენსიონერია, 1-დან 6-წლამდე ასაკის — 200 ათასი ბავშვი, 200 ათასი ინვალიდი, მრავალი ათასი საავადმყოფო ფურცელზე და დეკრეტულ შვებულებაშია.

ამ მხრივ, თვით უკეთესი სოციალური ფონის მქონე სახელმწიფოებშიც კი, ტარიფები უფრო მაღალია, ვიდრე ჩვენთან. მაგალითად, მოლდოვაში 45 პროცენტი, ბელორუსში — 40,8 პროცენტი, უკრაინასა და სსრკ-ს ყველა სხვა ყოფილ რესპუბლიკაში (ესტონეთის გარდა) — 37 პროცენტი. ის კი არა, სამწუხაროდ, ვერც ეს შენატანები ფარავს ჩვენს აუცილებელ ხარჯებს, როგორც უკვე ითქვა, სახელმწიფო ბიუჯეტიდან 6 მილიარდამდე მანეთ დოტაციას ვიღებთ.

— რამდენია თქვენი ბიუჯეტი?

— 65 მილიარდი. ისე კი, რომ იცოდეთ, არც ჩვენ ვართ ტარიფების შემცირების წინააღმდეგი, პირიქით, მაგრამ ამისათვის საჭიროა ქვეყანაში პოლიტიკური და ეკონომიკური სტაბილურობა დამყარდეს.

— რას ნიშნავს ყოველი მომუშავის — დასაქმებულის ე. წ. სადაზღვევო შენატანი — ერთი პროცენტი და საერთოდ, სხვა ქვეყნებში არსებობს მსგავსი რამ, თუ ეს ჩვენი გამოგონებაა?

— მკითხველს ვთხოვთ ამ ერთ პროცენტს პროფკავშირის საწევროში ნუ აურევს, რომელიც ასევე ერთი პროცენტია. ჩვენთან მას დასაქმებულის სავალდებულო სადაზღვევო შესატანი ჰქვია. ყველა ცივილიზებულ ქვეყანაში სადაზღვევო ტარიფით იხდიან, როგორც დამსაქმებელი, ასევე თითოეული მომუშავე — დასაქმებული. ასე რომ, ეს დიდი ხნის გამოგონებული ველოსიპედია. მოვიტან ასეთ მაგალითებს: საპენსიო დაზღვევისთვის ავსტრიაში **დამსაქმებელი** იხდის 9,75 პროცენტს, **დასაქმებული** — 11,75 პროცენტს, ინგლისში ეს თანაფარდობა შესაბამისად ასეთია — 10,45 პროცენტი და 9,6 პროცენტი; ხოლო იტალიაში, კანადაში, აშშ-ში კი ერთნაირია — 12,95 პროცენტი და 5 პროცენტი.

ამგვარად, თუ ჩვენ თანამედროვე სოციალური დაზღვევის სისტემის დამკვიდრებისაკენ ვისწრაფვით, აუცილებელია გაიზარდოს ზემოთ მოხსენებული ერთი პროცენტი და, პირიქით, შემცირდეს 37 პროცენტი დასაქმებულის შრომის ანაზღაურების ზრდის კვალობაზე. ასეთი მიდგომა საშუალებას მოგვცემს ყოველი დაზღვეული გადავიყვანოთ სოციალური სადაზღვევო პოლისის მექანიზმზე. ამგვარი მიდგომით შესაძლებელი გახდება დაზღვეულმა პოლისის საშუალებით თვალყური ადევნოს ფონდში თავის შენატანებს. მან უნდა იცოდეს, რომ რასაც იღებს სახელმწიფო სოციალური დაზღვევიდან, ეს მისი ნაშრომ-ნაღვაწიდან წლების მანძილზე დაგროვილი და დამსახურებული თანხებია, და არა ვინმეს მიერ ნაწყალობევ-ნაბოძები, „მშობლიური კომპარტია" იქნება თუ პროფკავშირი. ალბათ დამეთანხმებით, ასეთი სისტემა ადამიანის თავისუფლების ხარისხს ამაღლებს, რაც თავის მხრივ ქვეყნის დემოკრატიულობის ერთ-ერთი ძირითადი კრიტერიუმია.

— ახლა კი თითოეული მოქალაქისათვის საინტერესო საკითხი: კურორტები, სანატორიუმები, ბავშვთა დასვენება....

— რადიკალურად შეიცვლება დაზღვეულის სანატორიულ-საკურორტო მკურნალობის ორგანიზაცია და დაფინანსების სისტემა მისი დეცენტრალიზაციისა და დემოკრატიზაციის გზით.

დამზღვევს — სახელმწიფო თუ არასახელმწიფო სტრუქტურას — განესაზღვრება საერთო სადაზღვევო შენატანში ამ მიზნით გაწეული ხარჯის კვოტა და ამ კვოტის შესაბამისად ყოველი დამზღვევი და დაზღვეული, მათთან არსებული სოცდაზღვევის კომისიის საშუალებით, დამოუკიდებლად გადაწყვეტენ, ვინ სად და როდის უნდა დაისვენოს. რაც შეეხება საკურორტო მშენებლობასა და განვითარებას, იგი სამეურნეო ანგარიშის პრინციპით უნდა ხდებოდეს, ეს გზას უხსნის ჯანსაღ კონკურენციას და საგრძნობლად ამაღლებს მკურნალობისა და მომსახურების დონეს.

ამ სფეროში დღეს არსებული მექანიზმის შეცვლა თვითმიზანი არ არის, ჩვენ პრაქტიკამ და ანალიზმა დაგვარწმუნა, რომ სადაზღვევო სახსრების ამ მიზნებისთვის გამოყენება უსამართლოა. უფრო მეტიც: ამ სფეროში სამართლიანობის პრინციპის დაცვა, ჩვენი ღრმა რწმენით, ცენტრალიზებული განაწილების მექანიზმით შეუძლებელია.

— არც ისე იოლად დასამტკიცებელი ყოფილა ახალი დებულება, ბევრი ოპონენტი გეყოლებოდათ.

— ღმერთმა ნუ ქნას, ახალი სისტემის ფორმირება მხოლოდ ერთხმად ხელის აწევით და ტაშის კვრით წყდებოდეს. რა თქმა უნდა, იყვნენ, არიან და კვლავაც იქნებიან ოპონენტები, ისევე როგორც თანამოაზრენი, რომელთა რიცხვი, საბედნიეროდ, განუხრელად იზრდება.

ესაუბრა
სერგო ხარაზიშვილი.

ერთხმად მიიღეს

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უშიშროების საბჭომ სანქცია მისცა საქართველოში გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მეთვალყურეთა მისიის შექმნას

გაერო, 26 აგვისტო. (იტარ-ტას-საქინფორმი). **გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უშიშროების საბჭომ სანქცია მისცა საქართველოში გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მეთვალყურეობის მისიის შექმნას ექვსი თვით თავდაპირველი პერიოდისათვის. ეს ნათქვამია უშიშროების საბჭოს 858 რეზოლუციაში, რომელიც ერთხმად მიიღეს სამშაბათს გამართულ საბჭოს სხდომაზე.**

უშიშროების საბჭომ დაადგინა, რომ მისიაში იქნება 88 სამხედრო მეთვალყურე. გარდა ამისა, მასში შევა 58 სამოქალაქო მოსამსახურე, რომლებსაც საერთაშორისო საფუძველზე შეკრებენ და ადგილებზე შერჩეული 46 თანამშრომელი. ექვსი თვის განმავლობაში მისი შენახვის ხარჯების საერთო თანხა შეადგენს 16,2 მილიონ დოლარს. მისი შენახვის შემდგომი ყოველთვიური ხარჯები 2 მილიონ დოლარად არის შეფასებული.

უშიშროების საბჭომ მოიწონა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივნის მიერ საქართველოში მთავარ სამხედრო მეთვალყურედ ბრიგადის გენერალ იოხან ჰიდეგორის (დანია) დანიშვნა, მისიის შტაბბინა გათვალისწინებულია სოხუმში.

უშიშროების საბჭომ დაადგინა, რომ მისიის მანდატი შეიცავს კონტროლს სოჭში ცეცხლის შეწყვეტის შესახებ 27 ივლისს ხელმოწერილი შეთანხმების დაცვისადმი. განსაკუთრებული ყურადღება დაეთმობა სიტუაციას ქალაქ სოხუმში. მისია აგრეთვე გამოიძიებს ცნობებს ცეცხლის შეწყვეტის დარღვევების შესახებ და შეეცდება ეს ინციდენტები მონაწილე მხარეთა მეშვეობით გადაწყვიტოს.

ცეცხლის შეწყვეტისადმი მეთვალყურეობის ფუნქციათა ეფექტიანი შესრულებისათვის გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურმა მდივანმა წამოაყენა წინადადება შექმნან სოხუმის სექტორში სტაციონარული სამეთვალყურეო პუნქტებისა და ოჩამჩირის სექტორში ოთხი საპატრულო ჯგუფის გამოყენება. ავტომობილებით პატრულირების დამატებით გამოიყენებენ ხვერტმფრენით პატრულირებას. გარდა ამისა, ნავარაუდევია, რომ გადასასვლელებზე კონტროლის განსახორციელებლად საჭირო იქნება შეიქმნას ორი საკონტროლო-გამშვები პუნქტი მდინარე ფსოუზე და ერთი — მდინარე ენგურზე.

სხდომაზე გამოსულმა გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში რუსეთის ფედერაციის მუდმივმა წარმომადგენელმა იური ვორონცოვმა საქართველოში გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მეთვალყურეობის მისიის შექმნას უწოდა „მნიშვნელოვანი ნაბიჯი, რომელიც გაერთიანებული ერების ორგანიზაციას შესაძლებლობას აძლევს რეალურად შეუწყოს ხელი აფხაზეთში ცეცხლის შეწყვეტისა და მისი დაცვისადმი კონტროლის მექანიზმის შესახებ ამა წლის 27 ივლისს სოჭში ხელმოწერილი შეთანხმების შესრულებისათვის, და მთლიანად აფხაზეთის გაჭიანურებული კონფლიქტის პოლიტიკური მოწესრიგებისათვის ძალისხმევას". „სოჭში ხელმოწერილი დოკუმენტი რეალურ წანამძღვრებს ქმნის, რათა სტაბილური იყოს ცეცხლის შეწყვეტა და შემდგომ ეტაპზე — აფხაზეთის კონფლიქტის სრულმასშტაბიანი პოლიტიკური მოწესრიგების შემუშავებაზე გადასვლა. როგორც ცნობილია, შეთანხმება ითვალისწინებს აფხაზეთის ვითარების მოწესრიგებაში საერთაშორისო გაერთიანების აქტიურ ხელშეწყობას. რუსეთის მხარის აზრით, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მეთვალყურეთა ყოფნას აქვს უაღრესად დიდი პოლიტიკური და პრაქტიკული მნიშვნელობა. იგი საარსებოდ საჭიროა, რათა უზრუნველყოფილი იყოს ცეცხლის შეწყვეტის რეჟიმის სიმტკიცე და განუხრელად შესრულდეს სოჭის 27 ივლისის შეთანხმების სხვა დებულებები", — განაცხადა რუსეთის წარმომადგენელმა.

ამ ტრიალ ქვეყანაზე

ამერიკის შეერთებული შტატების როლის შესახებ

გაზეთი „ნიუ-იორკ ტაიმსი" სარედაქციო წერილში აღნიშნავს, რომ ამჟამად ბილ კლინტონის ადმინისტრაციაში და მის ფარგლებს გარეთ მიმდინარეობს ცხარე კამათი იმის შესახებ თუ როგორი როლი უნდა შეასრულოს ამერიკამ ყოფილი საბჭოთა კავშირის პერიფერიებზე გაჩაღებულ განუწყვეტელ შეიარაღებულ კონფლიქტებში.

სექტემბერში, აღნიშნავს გაზეთი, ამერიკის შეერთებული შტატების ადმინისტრაცია აპირებს გამოაქვეყნოს თავისი პოლიტიკის ძირითადი დებულებები მშვიდობის მხარდასაჭერად გაეროს მომავალ ოპერაციებში ამერიკის შეიარაღებული ძალების მონაწილეობის თაობაზე. ვაშინგტონმა უკვე დაავალა მაღალი რანგის დიპლომატს სათავეში ჩაუდგეს ამ კონფლიქტების მოლაპარაკების გზით მოწესრიგების ფართოდ რეკლამირებულ ძალისხმევას.

სავსებით ბუნებრივია, წერს გაზეთი, რომ ამერიკას სერიოზულად აშფოთებს საბრძოლო მოქმედება რუსეთის კანონიერი საზღვრების მიღმა, რომელშიც ამა თუ იმ ფორმით ჩაბმულია ევრაზიის უძლიერესი სამხედრო მანქანა, მაგრამ არ იქნებოდა სწორი პასუხი სამხედრო საშუალებებით გადაცვა ან თუნდაც გადადგმა აგრესიული დიპლომატიური ნაბიჯები. ამერიკის შეერთებული შტატები უფრო კონსტრუქციულ წვლილს შეიტანს, თუ მთელი ძალისხმევის კონცენტრაციას მოახმარს რუსეთში რეფორმების მხარდაჭერას, რომლებიც ძალზე ნელა და მძიმედ მიმდინარეობს და არა კრიზისების მოწესრიგების დრამატიზებულ მოწესრიგებას.

აზერბაიჯანში, საქართველოში და ტაჯიკეთში — სწორედ ამ რესპუბლიკებში მიმდინარეობს ყველაზე მწვავე საბრძოლო მოქმედება — დამოუკიდებლობა უეცრად მოვიდა იმ მომენტში, როცა იქ არ არსებობდნენ ეროვნული პოლიტიკური ლიდერები, გარდა საბჭოთა პერიოდის კომპრომეტირებული აპარატის მუშაკებისა და, აგრეთვე, გამოცდილების სრულიად არმქონე ნაციონალისტების რიცხვიდან გამოსული დისიდენტებისა და რელიგიური მოღვაწეებისა, წერს გაზეთი. კიდევ უფრო უარესია, რომ დღემდე არ ჩანან ეფექტური მოქმედებებისათვის მზადმყოფი ეროვნული არმიები. ამის გამო გახსნილია ასპარეზი რუსეთის ქვედანაყოფების საქმიანობისათვის, რომლებიც წინათ საბჭოთა კავშირის შეიარაღებულ ძალებში შედიოდნენ, აგრეთვე არადისციპლინირებული ბანდებისათვის, რომლებიც ერთმანეთს უპირისპირდებიან და მათ სათავეში ადგილობრივი მეთაურები დგანან.

გაზეთი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ რუსეთის სამხედროების დროებითი ყოფნისათვის ამ ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკებში არის საფუძველი. კიდევ უფრო სერიოზული საფუძველი არსებობს ამ რესპუბლიკებში მცხოვრები რუსების, რომლებიც რუსეთის ფარგლებს გარეთ დარჩნენ, ადამიანის უფლებების დაცვის დარგში. მაგრამ გაუმართლებელია პოლიტიკური მიზნებით რუსეთის არმიის ნაწილების ჩარევა დამოუკიდებელი სახელმწიფოების საშინაო საქმეებში. უმეტეს შემთხვევაში ასეთი ჩარევა ხდება პრეზიდენტ ბორის ელცინისა და მისი მოკავშირეებისადმი დაპირისპირებულ ულტრანაციონალისტური პოლიტიკური ოპონენტებისა და შეიარაღებულ ძალებში იმ დაჯგუფებების მითითებით, რომლებიც ამჟამად განლაგებული არიან კავკასიასა და შუა აზიის რესპუბლიკებში.

იმ შემთხვევებში, როცა რუსეთის სამხედრო მოქმედება არღვევს სუვერენიტეტსა და საერთაშორისო სამართალს, წერს გაზეთი, ვაშინგტონმა უნდა პირდაპირ განაცხადოს ამის შესახებ. არ უნდა შეეშინდეს, რომ ამგვარი კრიტიკა რაიმეთი ავნებს ელცინის მთავრობას. ნაციონალისტური განწყობილება არის რუსეთის პოლიტიკის ძლიერი ფაქტორი, მაგრამ თუ ამერიკის შეერთებული შტატები და დასავლეთის სხვა ქვეყნები ფრთხილად და დაბეჯითებით შეახსენებენ რუსეთს, რომ მათ მიერ საერთაშორისო ცხოვრების ნორმების შეუსრულებლობას შეუძლია იგი იზოლაციაში მოაქციოს, მაშინ ამგვარი მოქმედება კიდევ უფრო მეტ დამაჯერებლობას შემატებს მოსკოვში იმ პოლიტიკური ლიდერების არგუმენტებს, რომლებიც აცხადებენ, რომ ახალი იმპერიალისტური ომები სავსებით მიუღებელია ქვეყნის ეკონომიკისათვის, ამჟამად მძიმე პერიოდს რომ განიცდის.

ამავე დროს ამერიკის ჯარების გაგზავნა თუნდაც გაეროს დროშით, თითქმის უეჭველია აღქმული იქნება ბევრი რუსის მიერ, როგორც ქვეყნისათვის დამამცირებელი და პროვოკაციული.

ამერიკის ყველაზე არსებითი მიზანი ყოფილი საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე არის რეფორმების გამტარებელი, პასუხისმგებელი რუსეთის მთავრობის შენარჩუნება და განმტკიცება, წერს გაზეთი. რომ ამის მიღწევის ყველაზე საუკეთესო საშუალება არის ხელგაშლილი და მუდმივი დახმარება თვით რუსეთში ეკონომიკური და პოლიტიკური რეფორმების გატარებისათვის და არა თავის თავზე აღებული გრანდიოზული საპატრულო ფუნქციები იმპერიის აფორიაქებულ საზღვრებზე.

უკრაინის პრობლემების შესახებ

ფრანგული გაზეთი „ლიბერასიონი" უკრაინაში შექმნილ სიტუაციასთან დაკავშირებით წერილში აღნიშნავს, **რომ დღითიდღე კარბოვანეცის კურსი დოლართან მიმართებაში სულ უფრო ეცემა.** საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვა ადასტურებს მოსახლეობის გულგრილობას ნაციონალისტური რიტორიკისადმი, რომ დეპუტატები ისევე, როგორც პრეზიდენტი ლეონიდ კრავჩუკი, არ სარგებლობენ ამომრჩეველთა ნდობით. უკრაინას [illegible] საერთაშორისო ბოიკოტი, [illegible] არ სურს შეელიოს თავის ბირთვულ პოტენციალს. ქვეყანა, რომელიც ოდესღაც ყოფილ საბჭოთა კავშირის „ბეღელი" იყო და მტკიცედ სჯეროდა მომავლისა, იმედის გაცრუებას აწყდება. დღეისათვის უკრაინელთა 62 პროცენტი დადებითად უყურებს რუსეთთან სწრაფი ეკონომიკური ინტეგრაციის იდეას. ყველას, დაწყებული შავი ზღვის ოფიცერიდან და დამთავრებული სახელმწიფო კომბინატის „წითელ დირექტორამდე", უკვე აღარ შეუძლიათ მოითმინონ ნაციონალისტური „მსჯელობანი" და რეალიზმისაკენ მოუწოდებენ.

ყურადღების ცენტრში — ინტეგრაცია

დამოუკიდებელ სახელმწიფოთა ეკონომიკური ინტეგრაციის განმტკიცება იქნება მოსკოვში 24 სექტემბრისათვის მოწვეული პროფკავშირთა საყოველთაო კონგრესის ყურადღების ცენტრში.

ამ პროფკავშირის თავმჯდომარის მოადგილემ [illegible] განაცხადა, რომ თვით ცხოვრება უბიძგებს სუვერენულ სახელმწიფოებს ეკონომიკური კავშირის შესაქმნელად. მისი აზრით წარმოების 60 პროცენტით დაქვეითება ყოფილი საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე მოხდა სწორედ სამეურნეო კავშირების დაწყვეტის გამო. ამიტომ პროფგაერთიანება აპირებს მთელი ძალისხმევა მიმართოს დამოუკიდებელი სახელმწიფოთა ფარგლებში ერთიანი ეკონომიკური სივრცის აღსადგენად.

ამ ტრიალ ქვეყ

ინფორმაცია-93

იბერია-სპექტრი

მოსკოვი. „სოჭის შეთანხმების ტრაგედია" უწოდა ვლადისლავ არძინბამ ქართული მხარის მისწრაფებას შეცვალოს ერთ-ერთი მუხლი, რომელიც გულისხმობს აფხაზეთში კანონიერი ორგანოების საქმიანობის აღდგენას. სოჭის შეთანხმების ყველა პუნქტის შესრულების პრობლემა იყო ვლ. არძინბასა და რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტის ბორის ელცინის 24 აგვისტოს მოლაპარაკების ძირითადი თემა.

ვლ. არძინბას თქმით, მან რუსეთის პრეზიდენტის ყურადღება მიაპყრო იმ ფაქტს, რომ ქართულმა მხარემ დარღვია შეთანხმების მუხლი აფხაზეთიდან ჯარების გაყვანის შესახებ. გუდაუთის დაჯგუფების ხელმძღვანელმა ხაზი გაუსვა საქართველოს შეიარაღებული ძალების მცდელობას, დამალოს სამხედრო ტექნიკის ნაწილი აფხაზეთის ტერიტორიაზე და დატოვოს სამოქალაქო ფორმაში გადაცმული შეიარაღებული ძალების ნაწილები.

აფხაზეთის მოწყობის მომავალზე საუბრისას ვლ. არძინბამ განაცხადა, რომ ამას განსაზღვრავს თვითონ აფხაზი ხალხი თავისუფალი დემოკრატიული ნების გამოვლენით.

კრემლიდან გასვლისას, ვლ. არძინბამ დადებითად შეაფასა რუსეთის პრეზიდენტთან მოლაპარაკების შედეგები.

სოხუმი. აფხაზეთში განლაგებული საქართველოს შეიარაღებული ძალების მთავარი შტაბის პრეს-ცენტრიდან გვაცნობენ, რომ დღის სოჭის შეთანხმების მიხედვით, სამმხრივი კომისია შეამოწმებს აფხაზეთის რეგიონიდან სამხედრო ნაწილებისა და მძიმე ტექნიკის გაყვანის პროცესის შესრულებას.

გუშინ სამმხრივი კომისიის შეხვედრაზე, მხარემ მოულოდნელად უარი განაცხადა ტყვეების გათავისუფლებაზე. მოლაპარაკების თანახმად, 27 აგვისტოს მხარეებს უნდა გაეთავისუფლებინათ ტყვეები პრინციპით — ყველა ყველაზე. უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს მხრიდან უკვე გათავისუფლებულია ტყვეების სრული შემადგენლობა.

სოხუმი. გუშინ სოხუმში დამთავრდა გაერთიანებული კომისიის სხდომა, რომელიც ჩატარდა რუსეთის ფედერაციის სამხედრო სანატორიუმის ტერიტორიაზე.

განსახილველად წარმოდგენილი იყო 4 საკითხი: მხარეთა დაშორიშორებისა და ჯარების გაყვანის გეგმა-გრაფიკის შესრულება; აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ხელისუფლების კანონიერი ორგანოების აღდგენისათვის პირობების შექმნა; გაერთიანებული კომისიის მიერ წარმოდგენილი სამხედრო საკითხები, უსაფრთხოების სამუშაო ჯგუფების მოქმედება, შინაგანი ჯარების სტრუქტურა და რაოდენობა; გაერთიანებული კომისიის შემდგომი მუშაობის შესახებ.

სხდომაზე აღინიშნა, რომ მიმდინარეობს მხარეთა დაშორება ოჩამჩირის რაიონში, მაგრამ აფხაზთა ერთ-ერთი ხელმძღვანელი, ვინმე ქიშმარია თავს იკავებს თავისი შენაერთების გადაადგილებისაგან იმ მიზნით, რომ საქართველოს შეიარაღებულმა ძალებმა დროულად ვერ გაიყვანეს მძიმე ტექნიკა.

რაც შეეხება მძიმე ტექნიკას, სხდომის ოქმში აღნიშნულია, რომ დასახელებულ პუნქტებში — დრანდასა და მაჭარაში თავმოყრილია დიდი რაოდენობის ტექნიკა. გენერალ-მაიორმა ზაურ უჩაძემ (ქართული მხარე) აღნიშნა, რომ 2 000-ზე მეტმა სამხედრო პირმა უკვე დატოვა აფხაზეთის ტერიტორია და რომ არა შეფერხებები სარკინიგზო ტრანსპორტზე, აქამდე მძიმე ტექნიკაც გაყვანილი იქნებოდა. მან მოითხოვა სადესანტო გემის გამოყოფა, რომლის საშუალებითაც მძიმე ტექნიკას ფოთში გადაისვრიან.

სხდომაზე ითქვა, რომ სოფ. შრომასა და კინდღში განლაგებულია გაძლიერებული საკონტროლო ჯგუფები.

ლაპარაკი იყო ოჩამჩირის რაიონიდან 240 კაზაკის გაყვანის თაობაზე. გაირკვა, რომ 105 კაზაკი უკვე გაყვანილია ამ ტერიტორიიდან, ხოლო დანარჩენები ადგილობრივი მაცხოვრებელნი არიან.

თბილისი. ამჟამად მიმდინარე პოლიტიკური კონსულტაციების დროს, რომლებიც მინისტრთა ახალი კაბინეტის დაკომპლექტებას შეეხება, ყველაზე მთავარი პრობლემაა ვიცე-პრემიერთა ინსტიტუტის საკითხი. სახელმწიფო მეთაურს ამ ინსტიტუტში შენარჩუნება სურს, მაგრამ ოპოზიციაში მყოფი პოლიტიკური პარტიები წინააღმდეგი არიან.

ამჟამად მიმდინარეობს ცხარე დისკუსია.

სოხუმი. („იბერია"—„ნევა"). როგორც ე. წ. აფხაზეთის რესპუბლიკის თავდაცვის სამინისტრო იუწყება, ქართული მხარე არღვევს შეთანხმებასა და ხელს უწყობს ქ. სოხუმში ქართველ ლტოლვილთა დაბრუნებას (მიუხედავად იმისა, რომ აფხაზეთიდან ჯარებისა და ტექნიკის გაყვანა ჯერ არ დასრულებულა), სხვა ეროვნების ლტოლვილებს კი ქართული ფორმირებები წინააღმდეგობას უქმნიან.

იბერია-სპექტრი

ფელეტონის მაგიერ

ზოგიერთებს...

(მომავალ ოპოზიციონერთა დასახმარებლად)

რაც გინდა, მოიმოქმედე,
პასუხს არ მოგთხოვს არავინ,
გინდა, მიტინგი გამართე,
გინდა, დაეცი კარავი!
რამდენიც გინდა, ილაყბე,
ბუზსაც ვერავინ აგიფრენს,
გინდ თავი მოისულელე, —
დაუკრეფავში დაკრიფე!
მეგაფონებით ირბინე,
ააწრიალე ქუჩები,
არ დაგჭირდება აიკრა
ზოგიერთივით ტუჩები!
აგინე, ლანძღე, ვინც გინდა,
კაცი იქნება, თუ ქალი,
გინდა, ბორდელი გახსენი,
გინდა — ბარი და დუქანი!
გინდა, გაზეთი დაბეჭდე,
გინდ ჟურნალი და წიგნები,
თუ მთავრობასაც გალანძღავ,
პირველი კაცი იქნები!
თუ მოგშივდება, იყვირე:
„რატომ არ არის პურიო".
ძნელი არ არის, თუ გინდა,
ყველგან ხელიც რომ ურიო!
სულ გაღმა-გაღმა იდავე
და შემოგრჩება გამოღმა,
ადვილად შემოიერთებ
ადრე ნაწყენს და ნაბოლმარს!
ჩასაფრებული იყავი,
ყველაფერს იგვით უყურე,
ზოგს აარიდე თვალები,
ზოგიერთს კიდეც უყურე!
არაფრის სწავლა არ გინდა,
რაც იცი, ისიც გეყოფა,
დღეს სწავლით ვერ გააკვირვებ
აზიასა და ევროპას,
ოღონდ ერთი რამ ისწავლე,
თუმცა არ არის ხაზელი:
„გავიდეს რუსის ჯარიო",
თუთიყუშივით იძახე!
თუ ხასიათზე იქნები,
და თუკი თავსაც გადადებ,
ხანდახან წამოიძახე:
„ხელისუფლება გადადგეს!"
თუ გაგიმართლა გამჩენმა
და ბოლოს გახდი ლიდერი,
სახრავ-სახელი იქნება,
რამდენიც გინდა, იმდენი!
გექნება ფირმა-მანქანა
და თავმოყრილი ბენზინიც,
თუ მეფესავით ვერ ივლი,
ივლი ვეზირის ვეზირი!
დაბოლოს, დაიმახსოვრე,
მეც გმოძღვრავ, როგორც იციან:
თუ შეასრულებ ჩემს რჩევას,
გახდები ოპოზიცია!

გურამ კლდიაშვილი.

სააქციო — კომერციული ბანკი

ქრწანისი
KRTSANISI

სააქციო-კომერციული ბანკი „კრწანისი" მოსახლეობისგან ყველაზე მაღალი კურსით შეისყიდის უცხოურ ვალუტას.
ბანკთან ფუნქციონირებს სასაქონლო — სანედლეულო ბირჟა „კრწანისი".

ჩვენი მისამართია: ქ.თბილისი, გორგასლის ქ. 111^ა ან
ივანე ჯავახიშვილის ქ. № 88 (ყოფილი კალინინის ქუჩა)
ტელეფონები: 95-04-27, 95-46-27, 72-15-70, 72-05-26.

სააქციო კომერციული ბანკი
„TBC-ბანკი"

აწარმოებს ნებისმიერი თავისუფლად კონვერტირებადი ვალუტის შესყიდვას.
ბანკი მუშაობს ყოველდღე შაბათ-კვირის ჩათვლით.

ჩვენი მისამართია:
ქ. თბილისი, ჭავჭავაძის პრ. 11.
ტელ. 22-06-61

ЕСЛИ ХОТИТЕ КУПИТЬ КВАРТИРУ,
ПРОЧТИТЕ ЭТО ОБЪЯВЛЕНИЕ

Продаются в собственность двух- и трёхкомнатные квартиры в ближайшем Подмосковье (9 км. от Москвы) в новом доме.

Контактные телефоны: (095) 441-05-37
374-65-03
208-93-47
337-30-31

25 წლამდე ახალგაზრდების საყურადღებოდ!

გაერთიანებული ერების ორგანიზაცია სოციალ-დემოკრატი ახალგაზრდების საერთაშორისო კავშირთან ერთად ატარებს მსოფლიო კონკურსს, რომლის თემაა „შეგვიძლია ერთად ვიცხოვროთ?!". თქვენ შეგიძლიათ დაწეროთ მოთხრობა, წერილი, სტატია, პიესა ან რაც გსურთ, რომელშიც გადმოგვცემთ თქვენს მოსაზრებებს მსოფლიოს მომავალზე, პლანეტაზე მცხოვრები ხალხების ურთიერთთანამშრომლობაზე. კონკურსის მიზანია გააცნოს ახალგაზრდების იდეები მსოფლიოს საზოგადოებრიობას.

საქართველოს სოციალ-დემოკრატიულ პარტიასთან შექმნილი საკონკურსო კომისია შეარჩევს 10 საუკეთესო თხზულებას, რომლებიც გაეგზავნება მსოფლიო საკონკურსო ჟიურის ჟენევაში (შვეიცარია). გამარჯვებულნი მიწვეულნი იქნებიან ჟენევაში მსოფლიო მმართველობის დამოუკიდებელი კომისიის წევრებთან შესახვედრად.

კონკურსში მონაწილეობის მიღება შეუძლიათ 25 წლამდე ასაკის ახალგაზრდებს. კონკურსზე წარმოდგენილი თხზულება შესრულებული უნდა იყოს გაეროს რომელიმე სამუშაო ენაზე — არაბულად, ჩინურად, ინგლისურად, ფრანგულად, რუსულად ან ესპანურად.

ნაწარმოებების სოციალ-დემოკრატიული პარტიის საკონკურსო კომისიაში წარმოდგენის ბოლო ვადაა 1993 წლის 30 სექტემბერი.

თხზულება თქვენი მონაცემებით (გვარი, სახელი, დაბადების წელი, საცხოვრებელი ადგილის მისამართი, ტელეფონი, სასწავლებლის ან სამუშაო ადგილის სახელწოდება, კლასის, კურსის, თანამდებობის მითითებით) შეგიძლიათ მოგვაწოდოთ პირადად ან ფოსტით გამოგვიგზავნოთ შემდეგ მისამართზე: 380018, თბილისი, 9 აპრილის ქ. № 2, საქართველოს სოციალ-დემოკრატიული პარტია (ახალგაზრდული სექცია). ტელ.: 99-95-50, 98-73-89.

საქართველოს სოციალ-დემოკრატიული პარტიის ახალგაზრდული სექცია.

საქართველოს რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროს უმაღლესი სკოლა

აცხადებს, რომ 1993-1994 სასწავლო წელს შერჩეულ აბიტურიენტთათვის საკონკურსო მისაღები გამოცდები დაიწყება ამა წლის 10 სექტემბერს და ჩატარდება შემდეგ საგნებში:

— ქართული ენა და ლიტერატურა (წერა),
— საქართველოს ისტორია (ზეპირი),
— სამართალმცოდნეობა (ზეპირი),
— უცხო ენა (ზეპირი).

კონსულტაციები აღნიშნულ საგნებში დანიშნულია ა. წ. 30 აგვისტოდან.

აბიტურიენტები საგამოცდო ფურცლის მისაღებად უმაღლეს სკოლაში უნდა გამოცხადდნენ 8 სექტემბერს, დილის 12 საათზე.

სკოლის მისამართი: 380119, ქ. თბილისი, გლდანის რაიონი, ქერჩის შესახვევი № 1. ტელ.: 68-10-08, 68-08-01.

უმაღლესი სკოლის მიმღები კომისია.

ესეც თუ საპირველსექტემბრო ვაჭრობაა!...

კარს მოგვადგა პირველი სექტემბერი — ახალი სასწავლო წლის დასაწყისი. რესპუბლიკის ურთულეს სოციალურ-ეკონომიკურ პირობებში, ცხადია, მთლად პირნათელი ვერ ვართ ჩვენი მოსწავლე-ახალგაზრდობის წინაშე. ჭირს სამოსწავლო ჩასაცმელ-დასახურავი, სასწავლო ლიტერატურა, სხვადასხვა საკლასო ნივთი... და მაინც როგორი საპირველსექტემბრო ვაჭრობაა? ამის გასაგებად ჩვენი კორესპონდენტი ეწვია თბილისის მაღაზია „ბავშვთა სამყაროს" და ჩაიწერა ამ მაღაზიის დირექტორის მერაბ ასათიანის ნაუბარი.

— საპირველსექტემბრო ვაჭრობა გასულ წლებთან შედარებით ნელი ტემპით მიდის — ამბობს მ. ასათიანი — რას იზამ, ნაკლებია მომარაგება....

ვაჭრობა დაიწყო 15 აგვისტოს. გაჭირდა სასკოლო ჩანთების შემოტანა. უკეთესი მდგომარეობაა სასკოლო საკანცელარიო საქონლის მომარაგებაში, საკმარისად გვაქვს მოსწავლის რვეულები. როგორც 48 ფურცლიანი, ასევე 96 ფურცლიანი, სახატავი რვეულები, ფლომასტერები... რაც შეეხება სასკოლო ტანსაცმელს, რესპუბლიკის არც ერთი ფაბრიკა არ კერავს მას და იძულებული გავხდით მიგვემართა სხვადასხვა ფირმებისათვის, ასოციაციებისათვის, კოოპერატივებისათვის.... ეს თხოვნა ბევრმა გულთან მიიტანა და მართლაც შემოიტანეს მოსწავლეთა ფორმები. თუმცა, რა თქმა უნდა, ის საკმარისი არ არის. როგორც აღვნიშნეთ, ჭირს საკლასო ჩანთები. ტყავ-გალანტერეის ფაბრიკას, რომელიც ჩანთების ძირითადი მომწოდებელი იყო, მთელი წლის განმავლობაში არ მოუწოდებია არც ერთი ჩანთა ნედლეულის უქონლობის გამო. ამიტომ მივმართეთ სინთეზურ ნაკეთობათა ფაბრიკას, რომელმაც ჩვენი შეკვეთით დაამზადა მოსწავლის ზურგჩანთები. დღეისათვის 1000 ცალი უკვე შემოტანილი გვაქვს და კვლავაც გვპირდებიან მოწოდებას.

ახლა ჭირს ბავშვის ფეხსაცმელი, წინდები, კოლგოტები, რაც მოქალაქეთა დიდ უკმაყოფილებას იწვევს.

ჩაიწერა **არჩილ ცინცაძემ.**

დაზუსტება

მიმდინარე წლის 24 აგვისტოს ნომერში დასტამბულ ინტერვიუში ბატონ ფრიდონ ინჯიასთან **„ტელეფონი დიდ ჯაფაშია"** მეორე სვეტის მესამე აბზაცში დაშვებულია უზუსტობა — სტრიქონში **„მუხიანში მთავრდება 200 000 ნომრიანი სატელეფონო სადგურის მშენებლობა"** უნდა იკითხებოდეს „20 000 ნომრიანი". შემდეგ როგორც ტექსტშია.

• • •

ჩვენი გაზეთის 25 აგვისტოს ნომრის მეორე გვერდზე გამოქვეყნებულ მასალაში (რუბრიკით — „ხიდები") — **„ეს გონივრულია, ამიტომ — მისაღები"** ავტორის უყურადღებობით დაშვებულია უზუსტობა: მესამე სვეტში „აკადემიკოს ელენე ვირსალაძის" ნაცვლად უნდა იკითხებოდეს —„აკადემიკოსი ელენე მეტრეველი".

რედაქცია ბოდიშს იხდის მკითხველთა წინაშე.

ფეხბურთი

ტოკიოს (იაპონია) სტადიონზე საზეიმო ვითარებაში გაიხსნა კადეტთა მსოფლიო ჩემპიონატი ფეხბურთში, რომელშიც 17 წლის ასაკამდე ჭაბუკთა ნაკრები გუნდები მონაწილეობენ. გაგაცნობთ ჯგუფების შემადგენლობას. პირველი ჯგუფი: იაპონია, იტალია, მექსიკა, განა. მეორე ჯგუფი: ავსტრალია, ნიგერია, კანადა, არგენტინა. მესამე ჯგუფი: აშშ, ჩეხეთსლოვაკეთი, კოლუმბია, კატარი. მეოთხე ჯგუფი: ჩილე, პოლონეთი, ტუნისი, ჩინეთი. მსოფლიოს ჩემპიონატის კალენდარული შეხვედრები მიმდინარეობს იაპონიის სხვა ქალაქებშიც, კერძოდ კობეში, კიოტოში და ხიროსიმაში. თამაშების ხანგრძლივობა 80 წუთია. ფინალური მატჩი 4 სექტემბერს ტოკიოს ოლიმპიურ სტადიონზე გაიმართება. პირველად ერთმანეთს შეხვდნენ იაპონიისა და განის ნაკრები გუნდები. მასპინძლები დამარცხდნენ — 0:1.

ჩოგანი

• • •

საქართველოს V ეროვნული ჩემპიონატის დაწყების წინ თბილისის „შევარდენი-1906"-ის კლუბი დატოვა და საზღვარგარეთ, კერძოდ კვიპროსის ჩემპიონ „ომონიაში" სათამაშოდ გადავიდა თბილისელთა ყველაზე შედეგიანი თავდამსხმელი დავით ყიზილაშვილი (მან ამ კლუბთან 2 წლიან კონტრაქტზე მოაწერა ხელი). ქართველი ფეხბურთელი მყისვე ჩაერთო საქმეში. „ომონიამ" ევროპის კლუბების ჩემპიონთა თასის საკვალიფიკაციო შეხვედრა გამართა შვეიცარიის „არაუსთან" და გაიმარჯვა — 2:1. ორივე ბურთი მეტოქეთა კარში ყიზილაშვილმა გაიტანა. თბილისელის წარმატებას აღფრთოვანებით შეხვდნენ კვიპროსელი ფეხბურთის მოყვარულები. „ომონია"-„არაუს" შორის გამარჯვებულ კლუბს მოსხანე „მილანი" ელის.

• • •

კვიპროსის „ნიქოზიაში" გადავიდა თბილისის „დინამოსა" და სოხუმის „ცხუმის" ყოფილი თავდამსხმელი გოჩა გოგრიჭიანი, რომელიც სულ ახლახან რუსეთის ჩემპიონატის უმაღლეს ლიგაში მოასპარეზე „სოჭის „ჟემჩუჟინის" სპორტულ ღირსებას იცავდა და კარგა ხანს ამ კლუბის საუკეთესო ბომბარდირის სახელსაც ატარებდა. კონტრაქტი „ნიქოზიასთან" 2 წლიანია, თუმცა ქართველ სპორტსმენს ზოგი გერმანული კლუბი და შვეიცარიის ცნობილი გუნდი „გრასჰოპერსიც" ეპატიჟებოდა.

კალათბურთი

სალონიკის (საბერძნეთი) სპორტის სასახლეში დამთავრდა ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ასპარეზობა კალათბურთში 1976-77 წლებში დაბადებულ ჭაბუკთა ნაკრებ გუნდებს შორის. ასპარეზობაში საბერძნეთის, საქართველოს, შვეციის, სლოვაკიის, რუსეთისა და თურქეთის გუნდები მონაწილეობდნენ. ჩვენმა ნაკრებმა პირველ მატჩში 87:51 დაამარცხა შვეციის ნაკრები. მეორე შეხვედრა კი საქართველოს წარგზავნილებმა დათმეს (66:110) მასპინძლებთან, ბერძენ კალათბურთელებთან. შემდეგ წრეში თბილისელებმა 96:70 მოუგეს სლოვაკიის ნაკრებს, მაგრამ მომდევნო ორ წრეში ჯერ (76:96) წააგეს რუსეთის ნაკრებთან, ხოლო შემდეგ თურქ სპორტსმენებთანაც (77:96). საბოლოოდ პირველ ადგილზე გავიდნენ ბერძნები. ჩვენი გუნდის შედეგია IV ადგილი.

ვასილ ბაიაძის ხსოვნას

გორი მუდამ იყო მაღალი ლიტერატურული და კულტურული ტრადიციების ქალაქი. მისი ინტელიგენციის შესანიშნავი წარმომადგენლების ხმა სრულიად საქართველოს სწვდებოდა. აქ იზრდებოდნენ და ფართო ლიტერატურულ სარბიელზე გამოდიოდნენ დიდი ქართველი მწერლები და მოღვაწეები.

ახლაც, ჩვენს დღეებში, არაერთი ბრწყინვალე მწერალი და მეცნიერი აღუზარდა ქართლის შუაგულმა ჩვენს ხალხს.

სწორედ გორში დაიწყო ვასილ ბაიაძემ ლიტერატურული მუშაობა. აქვეყნებდა გულთბილ, სიყვარულით აღსავსე წერილებს, რომლებშიც განიხილავდა გალაკტიონ ტაბიძის, კონსტანტინე გამსახურდიას, გიორგი ლეონიძის, ალიო მირცხულავას, იოსებ ნონეშვილის, ალექსანდრე აბაშელის და სხვათა შემოქმედებას...

ორმოცდაათიანი წლებიდან ვასილ ბაიაძე ინტენსიურად თანამშრომლობს რესპუბლიკურ ჟურნალ-გაზეთებში. თანდათან იზრდება და იხვეწება მისი ლიტერატურული გემოვნებაც.

1957 წელს ახალგაზრდა კრიტიკოსმა გამოაქვეყნა თავისი პირველი წიგნი, რომელშიც დიდი ადგილი აქვს დათმობილი იმდროინდელი ლიტერატურული ახალგაზრდობის, აგრეთვე საბავშვო მწერლობის საკითხებს.

„დრო და მწერალი" — ასე ეწოდება ვასილ ბაიაძის მეორე წიგნს. მასში მშვენივრად არის განხილული ლიტერატურის ხალხურობის საკითხი, თანამედროვე ლირიკის თავისებურებანი. ამავე წიგნში დიდი ყურადღება დაეთმო მხატვრული ნარკვევის ჟანრს.

თავის დროზე ინტერესით წაიკითხეს მონოგრაფია საქართველოს სახალხო პოეტზე — იოსებ გრიშაშვილზე, რომლის თავისებური პოეზია კრიტიკოსმა დიდი გულმოდგინებით გააანალიზა. ბუნებრივია: როცა ჩვენი პედაგოგები იოსებ გრიშაშვილის შემოქმედებას ასწავლიან, ამ წიგნსაც ფართოდ იყენებენ.

კრიტიკოს ვასილ ბაიაძის ლიტერატურულ მუშაობაზე საუბრისას ხაზგასმით უნდა ითქვას ისიც, რომ იგი კეთილგანწყობილებას იჩენდა ყოველი მწერლისა და მისი შემოქმედებისადმი. მისთვის უცხო იყო მიკერძოება და ღვარძლიანი ტონი, თუმცა მებრძოლური შემართება არასოდეს აკლდა. ნაწარმოების განხილვისას კრიტიკოსი პირუთვნელად, პრინციპულად, დამაჯერებლად აღნიშნავდა ნაწარმოების ნაკლოვანებებსა და ხარვეზებს, მაგრამ არასოდეს ივიწყებდა უმცირეს ღირსებასაც კი, რაც ნაწარმოებს გააჩნდა. მკითხველი ყოველთვის გრძნობს, რომ ვასილ ბაიაძე გულწრფელად ხარობდა მწერლის შემოქმედებითი გამარჯვებით.

ვასილ ბაიაძეს ჩვენი მკითხველი კარგად იცნობს, როგორც ქართული პედაგოგიური პრესის ერთ-ერთ ცნობილ და ხელმძღვანელ მუშაკს. მკითხველთა შორის დამსახურებული პოპულარობით სარგებლობდა მისი სტატიები, ნარკვევები, ჩანახატები, მიმოხილვები. ყველგან და ყოველთვის ნათლად ჩანდა ავტორის ღრმა ცოდნა, პედაგოგიური ტაქტი და მაღალი ლიტერატურული დონე.

ერთხელ მუდამ გულმართალმა იოსებ გრიშაშვილმა ფრონტზე მყოფ ვასილ ბაიაძეს მისწერა: „მე თქვენი უნარი და ფხა მწამს და თქვენი აზრიც მაინტერესებს".

მკითხველ საზოგადოებრიობასაც, ისევე როგორც თითოეულ მწერალს, სწამდა ვასილ ბაიაძის უნარისა და მუდამ აინტერესებდა მისი აზრი მშობლიური ლიტერატურის ამა თუ იმ მოვლენაზე, ნაწარმოებზე, მწერალზე.

70 წლისა წავიდა ჩვენგან ვასილ ბაიაძე — ღირსეულთა ღირსეულად დაფასებული კრიტიკოსი და ლიტერატურისმცოდნე, ჩინებული ჟურნალისტი, საყვარელი მეგობარი და კეთილშობილი ადამიანი.

მადლობა შენდა, ძვირფასო ვასო, შენი კარგი კაცობისათვის, დიდი ღვაწლისათვის, მოკრძალებული და ლამაზი ცხოვრებისათვის.

მარადი ნათელი დაადგეს შენს სახელს.

ხუტა ბერულავა.

ხსოვნა

მეგობრის ხსოვნას

კიდევ ერთი ღირსეული კაცი დააკლდა ჩვენს დიდ ჟურნალისტთა საძმოს. მოულოდნელად გარდაიცვალა **სერგო თევზაძე** — ცნობილი ფოტოჟურნალისტი, ჭეშმარიტი ხელოვანი, უმაღლესი პროფესიონალი.

68 წელიწადს იცოცხლა სერგო თევზაძემ და ოთხი ათეული წელი იღვაწა სხვადასხვა ადგილებში — იყო მასწავლებელი, ფოტომხედავი, შემდეგ კი აღიარებული ფოტოოსტატი გახდა და თავისი შეგნებული ცხოვრება საქინფორმის ფოტოქრონიკას დაუკავშირა. ბატონი სერგოს მახვილ თვალს არაფერი გამორჩებოდა ხოლმე და ფოტოფირზე აღბეჭდავდა თავისი სათაყვანებელი ქვეყნის ადამიანებს, პეიზაჟებს, სოფლებისა და ქალაქების ხედებს. მაგრამ ეს არ იყო უბრალო ფოტოსურათები. ისინი თავისებურ მხატვრულ ფოტონოველას წარმოადგენდნენ, თავად, წარწერის გარეშე გადმოგვცემდნენ ნაწარმოების შინაარსს, მისი ავტორის ჩანაფიქრს.

ჟურნალისტთა დიდი ოჯახი ემშვიდობება თავისი საძმოს ერთ-ერთ ღირსეულ წარმომადგენელს და იმედად რჩება ბატონი სერგოს შესანიშნავი სახელი და შემოქმედება.

საქართველოს ჟურნალისტთა ფედერაცია, საქინფორმის კოლექტივი.

შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო აკადემიური თეატრის კოლექტივი ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა
სერგო იოსების ძე თევზაძე
და თანაუგრძნობს მის ოჯახს.

განცხადება

დემოკრატიული პარტია აცხადებს, რომ 1992 წლის 4 დეკემბერს ქ. ღარიბაშვილი განთავისუფლებული იქნა ეროვნული კომიტეტის თავმჯდომარეობისაგან, პარტიის ლიდერის სტატუსის შენარჩუნებით.

ბოლო პერიოდში, პარტიის აქტიურობის მკვეთრი დაქვეითების გამო, მიმდინარე წლის 24 ივლისს ჩატარებულ პარტიის ეროვნული კომიტეტისა და საპარლამენტო ფრაქცია „დემოკრატები"-ს ერთობლივ სხდომაზე ქ. ღარიბაშვილი განთავისუფლებული იქნა დემოკრატიული პარტიის ლიდერობისაგან და ცნობად იქნა მიღებული მისი სიტყვიერი განცხადება პარტიისაგან გამიჯვნის შესახებ.

ამავე სხდომაზე საპარლამენტო ფრაქცია „დემოკრატები"-ს წევრებმა გაათავისუფლეს ქ. ღარიბაშვილი ფრაქცია „დემოკრატები"-ს თავმჯდომარის მოვალეობისაგან.

ეროვნულმა კომიტეტმა პარტიის ხელმძღვანელ ორგანოდ აირჩია თანათავმჯდომარეთა კოლეგია 8 წევრის შემადგენლობით.

საპარლამენტო ფრაქცია „დემოკრატები"-ს თავმჯდომარედ არჩეულია გ. ქვლივიძე.

დემოკრატიული პარტიის ეროვნული კომიტეტი.

სამშაბათს, 31 აგვისტოს, 14 საათზე, რუსთაველის სახელობის სახელმწიფო აკადემიური თეატრის შენობაში გაიმართება საქართველოს რეფორმატორთა კავშირის დამფუძნებელი კრება.
რეგისტრაცია — 12 საათიდან.
დაინტერესებულ პირთ შეუძლიათ მიმართონ ორგკომიტეტს, ტელ.: 34-36-14, 95-58-61.

აპოლონ სილაგაძის წიგნი „საქართველო-92", იყიდება საფირმო მაღაზია-სალონში „მერანი", რუსთაველის პროსპექტი 42.

ქვეყნის დღევანდელი ყოფის შესაფერისი ისტორია

მაინცდამაინც ამერიკელი დიპლომატი უნდა მოეკლათ, რომ ყველაფერი ის, რაც საქართველოს გზებზე ხდება, სააშკარაოზე გამოგვეტანა?

ახლა, ალბათ, შეწყდება ყველა იმ მითქმა-მოთქმის, ჭორისა და ვერსიის გავრცელება. თბილისში ამერიკის საელჩოს წარმომადგენლის ფრედ ვუდრუფის მკვლელობას რომ მოჰყვა, საგამოძიებო-ოპერატიულმა ჯგუფმა, რომელშიც რესპუბლიკის პროკურატურის, შინაგან საქმეთა სამინისტროსა და საინფორმაციო-სადაზვერვო სამსახურის კვალიფიციური მუშაკები შედიოდნენ, პროფესიული, შეთანხმებული მოქმედებითა და თავისი ამერიკელი კოლეგების დახმარებით სწრაფად გახსნა დანაშაული, ეჭვმიტანილი დაპატიმრებულია.

გამოძიების საქმის ანალიზისათვის ჯგუფის ერთ-ერთ ხელმძღვანელს, საქართველოს რესპუბლიკის გენერალური პროკურორის პირველ მოადგილეს ვახტანგ გვარამიას მივმართეთ.

— მკვლელობის პირველ დღესვე ცნობილი გახდა, რომ ეს არ იყო ტერორისტული აქტი,—მითხრა ბატონმა ვახტანგმა. მკვლელობაში ეჭვმიტანილია ვინმე ანზორ შარმაიძე, 21 წლის, არასრული საშუალო განათლების მქონე. დაკითხვის დროს ბრალდებულმა თქვა, რომ მონაწილეობდა აფხაზეთში მიმდინარე საომარ ოპერაციებში.

რვა აგვისტოს შარმაიძე და მისი ორი ამხანაგი (მათ შორის ერთი პოლიციელი), რომლებიც ძლიერ მთვრალები იყვნენ, როგორღაც საქართველოს სამხედრო გზაზე აღმოჩნდნენ. ღამე იყო. ავტოსაგზაო პოლიცია „კავკასიონის" ნატახტარის საგუშაგოდან, დაახლოებით 600-800 მეტრის მოშორებით ისინი აჩერებდნენ ავტომანქანებს, თითქოს იმ მიზნით, რომ ბენზინი ეყიდათ. სამივეს სამხედრო ფორმა ეცვათ. მათ იმ ავტომანქანა „ნივის" აჩერებაც მოინდომეს, რომელშიც ამერიკელი დიპლომატი და მისი თანხლები პირები ისხდნენ. მანქანა, ბუნებრივია, არავინ გააჩერა, მაშინ ავტომატიდან მოახდინეს ერთადერთი გასროლა, რომელიც ვუდრუფისათვის საბედისწერო აღმოჩნდა — ტყვია მას თავის არეში მოხვდა.

ფრედ ვუდრუფი კერძო მოწვევით იმყოფებოდა საქართველოში, მისი ამა თუ იმ უწყებაში სამსახური ჩვენ იმდენად გვაინტერესებდა, რამდენადაც გამოძიების პროცესში ეს მკვლელობის ერთ-ერთი მიზეზი შეიძლება ყოფილიყო. როგორც მოგახსენეთ, ახლა უკვე დაბეჯითებით შეიძლება იმის თქმა, რომ ეს ტრაგიკული, მაგრამ ჩვეულებრივი კრიმინალური ფაქტია.

— გამოძიების წარმატებაში ამერიკელი სპეციალისტების მონაწილეობამაც შეასრულა, ალბათ, თავისი როლი?

— რასაკვირველია. ამერიკის ადმინისტრაციამ თანამედროვე სპეცტექნიკით აღჭურვილი პროფესიონალი სპეციალისტები მოავლინა, რომლებმაც მნიშვნელოვანი დახმარება გაგვიწიეს. მათ და აშშ მთავრობის მიმართ, მადლობის მეტი არაფერი გვეთქმის. ისინი საქართველოს ტერიტორიაზე, საქართველოს რესპუბლიკის კანონების ფარგლებში მოქმედებდნენ და ამ კანონებიდან გადაცდომის ერთი შემთხვევაც არ ყოფილა.

— მკვლელობას რომ არ ჰქონდა პოლიტიკური მოტივი და ეს ამსუბუქებს ჩვენს მდგომარეობას, მაგრამ ხომ გვაკისრებს მორალურ პასუხისმგებლობას? როდემდე უნდა ვკანკალებდეთ შემთხვევების შიშით?

— ვის სჭირდება იმის დამალვა, რომ ჩვენს ქუჩებში და გზებზე დღის ათასი ჯურის ფორმიანი თუ უფორმო ბანდიტური ჯგუფები და მეტად საეჭვო საქმიანობის ადამიანები დათარეშობენ. პოლიცია ამ ჯგუფების წინააღმდეგ ბრძოლით რომ იყოს დაკავებული და არა სხვა საქმით, კრიმინოგენური სიტუაცია რესპუბლიკაში, ალბათ, გაცილებით უკეთესი იქნებოდა და ამგვარი დანაშაულობების რიცხვიც შემცირდებოდა. ამ დანაშაულის გახსნაზე მუშაობის დროს, გზის იმ მონაკვეთზე, სადაც ამერიკელი დიპლომატი მოკლეს, საგამოძიებო-ოპერატიულმა ჯგუფმა იმ ღამეში მომხდარი სხვა დანაშაულის ფაქტიც გამოავლინა — ყაჩაღებმა გაიტაცეს ავტომანქანა, გაყიდეს ცხინვალში და ამ თანხით ნარკოტიკები შეიძინეს, დადგენილ იქნა აგრეთვე გზაზე მოხეტიალე მრავალი სამხედრო-ფორმიანი შეიარაღებული პიროვნება. შემოწმებამ დაადასტურა, რომ ბევრი მათგანი, მართლაც, სამხედრო მოსამსახურე იყო. უბედურებაც ისაა, რომ მათ არავინ აკონტროლებს. ქვეყანაში დღეს უთვალავი სამოქალაქო თუ სამხედრო პოლიცია და მათი მსგავსი შეიარაღებული დანაყოფები მოქმედებენ, რომლებსაც კანონით თუ თვითნებურად მიკუთვნებული აქვთ წესრიგის დაცვის ფუნქცია, სინამდვილეში კი ყველაზე ნაკლებად, სწორედ, ისინი ფიქრობენ წესრიგზე. ვფიქრობ, რომ ქვეყანაში წესრიგისა და კანონიერების აღდგენა, სწორედ აქედან უნდა დავიწყოთ.

ერთად უნდა ვებრძოლოთ

ვისარგებლე შემთხვევით და ბატონ ვახტანგს რამდენიმე, პროკურატურასთან დაკავშირებული კითხვითაც მივმართე.

— დღეს ბევრს ლაპარაკობენ პროკურატურის სისტემის რეფორმაზე. როგორ წარმოგიდგენიათ ხვალინდელ საქართველოში პროკურატურის როლი და მნიშვნელობა?

—ქვეყანაში კანონი უნდა კანონობდეს, კანონიერების განხორციელებას ქვეყნის ცხოვრების ყველა სფეროში კი პროკურატურამ უნდა გაუწიოს ზედამხედველობა. ალბათ, მოკლედ და [illegible] ასეთია პროკურატურის ძირითადი როლი და ფუნქცია.

— თქვენი სამსახური გამოძიების მძლავრ სისტემასაც ფლობს. რა მოხდება, თუ ერთ მშვენიერ დღეს პროკურატურას წაართმევენ გამოძიების უფლებას?

— გამოძიების უფლება მარტო პროკურატურას კი არა, სხვა სამართალდამცველ სამსახურებსაც უნდა ჩამოერთვათ. ერთიანი, დამოუკიდებელი საგამოძიებო სისტემა გაცილებით უკეთ დაიცავდა მოქალაქეთა უფლებებს, მართლწესრიგსა და კანონიერებას. მაგრამ დღეს ამის დრო არ არის. ეს უფრო მომავლის საქმეა, მის განხორციელებაზე ფიქრი მხოლოდ სასამართლო რეფორმის შემდეგ არის შესაძლებელი. მერე, ასეთი სამსახურის ჩამოყალიბება დიდ მატერიალურ და ფინანსურ ხარჯებს მოითხოვს, იმ ეკონომიკურ მდგომარეობაში, რომელშიც არის დღეს ჩვენი სახელმწიფო, ასეთი ექსპერიმენტის განხორციელება, რბილად რომ ვთქვათ, შეუძლებელია.

— რას იტყვით, სისხლის სამართლის კოდექსზე. მის ამ ბოლო ხანს მიღებულ კანონებთან შესაბამისობაში მოყვანასაც ხომ არ დასჭირდება ძვირადღირებული ექსპერიმენტების ჩატარება?

— ქვეყანაში ეკონომიკური თუ პოლიტიკური რეფორმების ჩატარებასთან ერთად, თუნდაც „საკუთრების შესახებ" კანონის მიღების შემდეგ, სისხლის სამართლის კოდექსის ბევრი მუხლი მოძველდა და დღევანდელობის მოთხოვნებს ვერ უპასუხებს. ასე, მაგალითად, „საკუთრების შესახებ" კანონის მესამე მუხლში ნათქვამია, რომ საქართველოს რესპუბლიკაში საკუთრების ყველა ფორმა თანასწორია. სისხლის სამართლის კოდექსში კი პირიქითაა: მოქალაქის პირადი ქონების ხელყოფა გაცილებით მსუბუქად ისჯება, ვიდრე სახელმწიფო ან საზოგადოებრივი საკუთრებისა. ასეთი მაგალითების მოყვანა მრავლად შეიძლება.

ისიც კი უნდა ითქვას, რომ საქართველოში დღეს მოქმედი კანონები საკმაოდ მკაცრია, ზოგიერთ შემთხვევაში, არანაკლებ მკაცრი, ვიდრე ბევრ სხვა ქვეყანაში. ამიტომ, თუ სამართალდამცავი ორგანოები ქმედითად გამოიყენებენ ამ კანონებს, ქვეყანაში დამყარდება წესრიგი.

— ხშირად გსაყვედურობენ, რომ სხვადასხვა რანგის პროკურორები უშვებენ დამნაშავეებს, რითაც რესპუბლიკაში არ ხერხდება კრიმინოგენური სიტუაციის სტაბილიზება?

— ძნელია დამისახელოთ ისეთი შემთხვევა, როდესაც პროკურატურის ორგანოებმა გაათავისუფლეს ბრალდებული, რომლის მონაწილეობა მძიმე დანაშაულის ჩადენაში დადასტურებული იყო. უბედურება ისაა, რომ მოკვლევისა და საგამოძიებო ორგანოების დაბალი კვალიფიკაციის ან სხვა მიზეზების გამო, ხშირად ვერ აგროვებენ სათანადო მტკიცებულებებს, სასურველს რეალობად აღიქვამენ — რაც არის იმის მიზეზი, რომ ზოგჯერ პროკურორი იძულებულია, თავი შეიკავოს ამა თუ იმ პიროვნების დაპატიმრებისაგან. ყველამ უნდა ახსოვდეს რომ სახელმწიფოსათვის მოქალაქეთა უფლებების დაცვა არანაკლებ მნიშვნელოვანია, ვიდრე ბოროტმოქმედთა მხილება და დაკავება. სუსტი მტკიცებულობისა და დაუდასტურებელი ბრალდების საფუძველზე, მოქალაქეთა დაპატიმრება კანონის უხეში დარღვევაა. ამიტომ, მეტი ყურადღება უნდა მიექცეს კონკრეტული დანაშაულისა და დამნაშავის მიმართ მტკიცებულებების მოგროვებას. მხოლოდ ამით აგვიცილებთ გაუგებრობას, მითქმა-მოთქმას და ბოროტმოქმედიც დამსახურებისამებრ ზღვას.

ამერიკელი დიპლომატის ფრედ ვუდრუფის მკვლელობის გამოძიება არის ნიმუში იმისა, თუ მოკლე დროში რა შედეგი შეიძლება მოიტანოს სამართალდამცავი ორგანოების — პროკურატურის, შინაგან საქმეთა სამინისტროსა და საინფორმაციო-სადაზვერვო სამსახურის ერთობლივმა კოორდინირებულმა მოქმედებამ. სამწუხაროდ, ასეთი თანამშრომლობა დღეს იშვიათია. არც თუ ისე შორეულ წარსულში კი ასე იყო. ამგვარი დამოკიდებულება საქმისადმი შეასრულებს გადამწყვეტ როლს დამნაშავეობის წინააღმდეგ ბრძოლაში.

ზაურ მაკარაძე.

მთავარი რედაქტორი გურამ ზოგიაშვილი.

○ მისამართი, 380096, თბილისი, გ. კოსტავას ქ. № 14.
○ ტელეფონები: მთავარი რედაქტორის მისაღები 99-92-26; წერილების რედაქცია 99-78-24.

ავტორებს ვთხოვთ, მანქანაზე ნაბეჭდ 7 გვერდზე მეტი მოცულობის წერილებს ნუ შემოგვთავაზებენ.

გაზეთის ეგზემპლარებში პოლიგრაფიული წუნის შემჩნევისას მიმართეთ გამომცემლობა „სამშობლოს" საგაზეთო კორპუსს, თბილისი, ხოშარაულის 29.
ტელეფონი — 34-78-45.

გაზეთი რეგისტრირებულია საქართველოს რესპუბლიკის იუსტიციის სამინისტროში. რეგისტრაციის ნომერია 0488.

SAKARTVELOS RESPUBLIKA
САКАРТВЕЛОС РЕСПУБЛИКА